პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 ივლისი 2004 №154 (2175) ფასი 50 თეთრი


## შეჩერდი, რიჩარდ!

### 63:90, რომელიც კარგად დაიწყო

ქართველ კადეტებს საბერძნეთში მოგებით რომ დაეწყოთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, ის უფრო გაგვიკვირდებოდა. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდს ჯგუფში სამი ევროგრანდი ჰყავს — სერბეთი, იტალია და ლიტვა. თუმც ბალტიელებთან გუშინდელი შეხვედრა ქართველებს ურიგოდ არ დაუწყიათ და სანამ ლიდერი რიჩარდ მათიაშვილი მოედანზე იყო, დამაჯერებლადაც იგებდნენ. რიჩარდი კარგი მოთამაშე კია, მაგრამ მოედანზე ქცევის წესები არ უნდა ავიწყდებოდეს — მსაჯებთან კამათს უფრო მეტ დროს უთმობდა, ვიდრე ლიტველებთან ბრძოლას და პერსონალურთა ლიმიტის გამო მოედანი 11-წუთიანი ბურთაობის შემდეგ დატოვა. ამ მოკლე დროში მათიაშვილმა 10 ქულა და 8 მოხსნა გაახერხა, მაგრამ რად გინდა, მსაჯებს თავი გააგდებინა. საბოლოოდ, 90:63 ლიტველთა სასარგებლოდ. დღეს ქართველები იტალიის კიდევ უფრო მძლავრ ნაკრებს ეთამაშებიან.

## მე თქვენ გიყიდით!

### სანსი და პერესი: რეალიც ბრუნავს

მე თქვენ გიყიდით ფიგუს! დააქუხა ოთხი წლის წინ „რეალის" პრეზიდენტობის კანდიდატმა ფლორენტინო პერესმა და ამ გაუგონარი ტრანსფერით მოხიბლულმა მადრიდულმა ფანობამ მაშინდელ პრეზიდენტ ლორენსო სანსს ზურგი აქცია. გაპირველეკაცებულმა ფლორენტინომ ფიგუც იყიდა, ზიდანიც, რონალდოც, ბექემიც, მაგრამ...

ოთხი წლის თავზე, ახალი არჩევნების წინ, გალაქტიკურმა „რეალმა" სეზონი უტიტულოდ ჩაამთავრა...

მე თქვენ გიყიდით მანიშეს, როსიცკის, ბაროშს, ეტოოს – ეს უკვე ლორენსო სანსის დაპირებაა. ნაცნობი საარჩევნო ფანდია და, ვინძლო, მადრიდულმა ფანობამ ახლა ფლორენტინო პერესს აქციოს ზურგი. „რეალის" საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხიოდ დღე დარჩა.




## დინამო ბატიბუტია?!

### 0:4 ბატემდე

ბატე ბატივით გუნდი ნაღდად არაა, მაგრამ გუშინ მისი მეტოქე ბატიბუტივით ჩაატკბარუნეს. გუნდი ერთი საშეკრებო მატჩით არ ფასობს, მაგრამ გუნდსაც გააჩნია — თბილისის „დინამოს" განსაკუთრებული თავმოყვარეობა მართებს.

გუშინ „ევროსპორტით" ბევრი ნახავდა „ზალცბურგ" — „დინამოს" თამაშს, ქართველთა საკლუბო ფლაგმანის წვალებას, რაზეც „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ნამატჩევს თქვა, კარგია, რომ ეს ბატემდე შეგვემთხვაო.

გუშინდელი ამბავი ალბათ მალე დაგავიწყდებათ, თუ 15 ივლისს ბატესთან აღარ დაბატიბუტდება ჩვენი ყველაზე სახელიანი კლუბი.



ბადრი ჯეთელაძის ფოტო

## სარჩობელაზე

### ადვოკაატმა ჰოლანდიას განცხადება დაუწერა



გერმანია უმწვრთნელოდაა, საფრანგეთიც მწვრთნელის ძიებაშია, გუშინ ჰოლანდიაც უთავოდ დარჩა...

როცა ჩამოხრჩობით გემუქრებიან, ფეხბურთზე ვეღარ იფიქრებ – თქვა გუშინ დიკ ადვოკაატმა. ჩამოხრჩობის რა მოგახსენოთ და, მოძალებულ კრიტიკას ვეღარ გაუძლო დიკმა: ნიდერლანდების ფეხბურთის ასოციაციას გადადგომის განცხადება აახლა.

ერთი სიტყვით, ევროპის სამი ბობოლა ნაკრები ჯერჯერობით უპატრონოდაა, გერმანელებს გუს ჰიდინკზე, ლოთარ მათეუსზე და მორტენ ოლსენზე დაუდგამთ თვალი. ფრანგების გაწვრთნა ჟან ტიგანამ, ლორან ბლანმა, ბრუნო მეტიუმ და ინგლისელმა გლენ ჰოდლმა ისურვეს. ვინ იქნება ამ ოთხიდან მამალთმამალი, ფრანგული ფეხბურთის მამები პარასკევს გადაწყვეტენ.

# ნუგეში და გაკვეთილი დინამოსთვის

## ჯიდევ ჯარგი, ეს უეფაზე არ დაგვემართა

გია გეგუჩაძე




*გერმანულ შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამო“ გუშინ ავსტრიაში გახლდათ და „ალპენ კაპის“ ოთხთა ტურნირის პირველი მატჩი ითამაშა — ავსტრიულ „ზალცბურგთან“ 0:4 დამარცხდა.*

*დინამოელთა ასეთი მარცხი მართლაც მოულოდნელი იყო, რადგან წინა კვირაში „დინამომ“ საკმაოდ ნორმალურად წარმოაჩინა თავი „სემპიონე კაპის“ ტურნირზე შვეიცარიაში. გუშინდელი „დინამო“ კი ძალიან უნიათო იყო. მსგავსი მატჩები რეგალიებს არავის მატებს, მაგრამ თბილისის „დინამოს“ სახელს გაფრთხილება სჭირდება.*

მეოთხე გოლი „დინამოს“ დანიელ კასტნერმა გაუტანა

„ზალცბურგი“ ავსტრიული მაქსბუნდესლიგის საშუალო გუნდად ითვლება, რაგინდარა ლეგიონერებიც ჰყავს, მათ შორის ჰონდურასიდანაც. მოცარტის ქალაქის გუნდი დიდი ხვითო სულაც არ გახლავთ, გუშინ, უბრალოდ, „დინამო“ იყო უფერული.

შეხვედრა ზალცბურგის მთავარ სტადიონზე კი არა, ქალაქის ერთ-ერთ არცთუ ხარისხიან მინდორზე გაიმართა კანტი-კუნტი მაყურებლის თვალწინ. პირველი სახიფათო მომენტი „დინამოსი“ იყო — შოთა კაშიამ ჯარიმა ჩააწოდა, სანდრო იაშვილის თავური მეკარემ მოიგერია, მიხეილ კაკალაძის დამატებული კი მცველმა.

„ზალცბურგმა“ მალევე უპასუხა გია გეგუჩაძის გუნდს — თომას ედერმა ჯერ ოცდახუთიოდე მეტრიდან დააქუხა საგოლედ, შემდეგ ახლოდანაც იხეირა — 29-ე წუთისთვის „დინამო“ უკვე 0:2-ს აგებდა. დინამოელები მეტწილად ფლანგებიდან ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ „ზალცბურგის“ საჯარიმოში სულ პარაშუტ-ჩაწოდებები მიდიოდა და იაშვილსაც უჭირდა ჰაერში თამაში. ბურთის ფლობის ხანგრძლივობაში მეტოქე „დინამოს“ არ აღემატებოდა, მაგრამ ბურთს გაცილებით უფრო ჭკვიანურად, სწორად აგორებდა.

„დინამო“ ვერც შესვენების შემდეგ გამოირჩა. ერთი ეგ იყო, რომ ლაშა სალუქვაძის თავური ავსტრიელთა ერთ-ერთმა მცველმა გამოიტანა კარიდან. გორან ტომიჩმა კი დასწრებაზე ითამაშა კარგად და თავით შეაგდო — 0:3.

დინამოელებმა რამდენჯერმე კარგად შეასრულეს ხელოვნური თამაშგარე, მაგრამ 87-ე წუთზე შეცდნენ — დანიელ კასტნერი ზოიძესთან პირისპირ გავიდა და კარდაკარგულ მეკარეს იოლად გაუტანა — ასეთი იყო წერტილი.

ნამატჩევს „ზალცბურგის“ მწვრთნელმა პიტერ საიონმა თქვა, ჩვენი გამარჯვება მნიშვნელოვნად განაპირობა პირველი გოლის ფაქტორმაო, ხოლო „დინამოდან“ გიორგი შაშიაშვილი გამოარჩია, ვინც ამ მატჩში მარჯვენაფლანგელი გახლდათ.

„დინამოს“ თავკაცი გია გეგუჩაძე: „შეკრებაზე საგანგებოდ ავარჩიეთ ძლიერი მეტოქეები, რათა მათთან ჩვენი ნაკლოვანებები კარგად დავინახოთ. დღეს ჩვენი სისუსტეები მართლაც კარგად გამოჩნდა. კარგია, რომ ეს ამ ეტაპზე მოხდა. დრო კიდევ გვაქვს, რათა ხარვეზები გამოვასწოროთ და ივივე არ დაგვემართოს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე“.

დინამოელებმა გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ზოიძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, სილაგაძე (ჭიჭვეიშვილი 46), კვირკველია, კაშია (კანდელაკი 46), კანკავა, ახალაია (ალადაშვილი 46), კაკალაძე (ბურდული 46), მელქაძე (გაფრთხილეს 42-ე წუთზე), იაშვილი (გონჩაროვი 60).*

„დინამო“ ზალცბურგის გარეუბნის ოთხვარსკვლავიან სასტუმროში იყო დაბინავებული, დღეისთვის კი გუნდი გერმანიაში, რუიტშია. ტურნირის მეორე მატჩი „ბეშიქთაში“ — „ბრონდბიუ“ დღეს გაიმართება. „დინამო“ ზალცბურგში ხვალ ჩავა, ხოლო ზეგ ამ წყვილში დამარცხებულს შეხვდება. თბილისში „დინამო“ 10 ივლისს დაბრუნდება.

**დავით თავგართქილაძე**




გიორგი შაშიაშვილი

# ბატემ დინამოს უკვე გაასწრო



ნიკოლაი რინდიუკმა ბატე ბელარუსში გაალიდერა

**ერთი კვირაც** და ქართული კლუბები ევროთასებში ჩაებმებიან. „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონთა თასზე, „დინამო“ და „თბილისი“ კი უეფას თასზე ითამაშებენ.

25 ივნისს, წილისყრის დასრულებისთანავე ყველამ ერთხმად აღნიშნა, „დინამოს“ არ გაუმართლაო. ბელარუსული ბატე ხომ ის გუნდია, სამი წლის წინ ჩვენებს კისერი რომ წაატეხინა, თუმცა უხერხული მეტოქეობის გარდა ბატეს სხვა მხრივაც აქვს „დინამოსთან“ უპირატესობა — ბელარუსში ჩემპიონატი გახურებულია.

ჰოდა, გუშინწინ იქაური უმაღლესი ლიგის მეცამეტე ტურში ბორისოვოელები მოზირის „სლავიას“ ესტუმრნენ და ნიკოლაი რინდიუკის მე-11 წუთზე გატანილი გოლით 1:0 დაამარცხეს. ამ მოგებით ბატემ ორ კონკურენტს, მინსკის „დინამოს“ და „ტორპედოს“ ერთი ქულით გაუსწრო. თუმც აქვე ისიც ვთქვათ, რომ მინსკელებს ერთით ნაკლები უთამაშიათ.

13 მატჩში 9 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 29:15 და 29 ქულა — ასეთია ბატეს მონაგარი ბელარუსის ჩემპიონატში. ბორისოვოელები უეფას თასამდე ერთ საჩემპიონატო მატჩსაც ჩაატარებენ, მერე კი თბილისის „დინამო“ ელით.

**ძახა შალამბერიძე**

# ოპერაცია

## ვეტერინარები ორ ეგზემპლარად

გერმანული შეკრების მესამე მატჩი საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ ობერლიგის „ჰოსნეკთან“ გამართა და 0:2 დამარცხდა.

ჩვენებმა თამაში ძირითადი შემადგენლობით დაიწყეს და პირველივე ტაიმი 0:2 წააგეს. ერთი გოლი გერმანელებმა პენალტით გაიტანეს, მეორე კი კონტრშეტევისას. შესვენებამდე მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა ესენი ათამაშა: *მამარდაშვილი, იმედაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, ჰ. დათუნაიშვილი, დიმელაშვილი, ლ. ნოზაძე, მალიჩავა, ე. მერებაშვილი, ვ. გოჩაშვილი, მარცვალაძე.*

მეორე ტაიმში კი „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობა, იმედაშვილის გარდა, მთლიანად შეიცვალა: *ბედიაშვილი, კუპრეიშვილი, დ. ლომაია, კვახაძე, გ. დათუნაიშვილი, იმედაშვილი, ლ. კვარაცხელია, ცხომარია, სახოკია, ებანოიძე, ბერელიძე.*

ვიტჯორჯიელთა თქმით, მეორე ტაიმში თურმე ცალკარა თამაში ყოფილა, თუმც ჩვენებს სახეირო არაფერი გამოსვლიათ.

ხვალ „ვიტ ჯორჯია“ რეგიონალიგის „ნორთჰაუზენს“ ეთამაშება, შესაძლოა, ამის გარდა ერთი შეხვედრაც გამართოს, 10 ივლისს კი თბილისში გამოემგზავრება.

**კოტა ინასარიძე**

**ირლანდია**

ლიგის თასის ნახევარფინალი

**ბოჰემიანსი 4:1 ლიმერიკი**

**ამსტანგშრი მატჩი**

**იანგ ბოისი 2:2 შალკე**

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი. IX ტური

**ჰაფნარფიორდური 1:1 რეიკიავიკი**

**უგედეთი**

თასის მერვედფინალი

**ნორჩიოპინგი 3:1 კაფე ოპერა**

# ვიტ ჯორჯიას საქმე: სხვადასხვა და თავდასხმა

## ლაშა ნოზაძე ვისლას ხედავს

*ათი დღეა, საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ გერმანულ შეკრებაზეა. გუნდმა სამი ამხანაგური მატჩი უკვე ჩაატარა და ჯერ ვერც ერთი მოიგო. თუმც ეს საწვრთნელი თამაშებია და სეზონის მერე ორი ფეხბურთელის წასვლით დასუსტებულ „ვიტ ჯორჯიასა“ და მის მწვრთნელს საშუალება აქვთ, გუნდი გადააწყონ, ახალი ტაქტიკური მონახაზები დაამუშავონ და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერელ მეტოქეს მომზადებული შეხვდნენ.*

*„ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანს ლაშა ნოზაძეს, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით, პირველ ყოვლისა სწორედ გუნდის თამაშში მოსალოდნელ ცვლილებებზე ვკითხეთ.*

— ახლა ზუსტად ის დროა, ნარ-ნარი ტაქტიკური ვარიანტები დავხვეწოთ და ვეცადოთ, ორი ლიდერის, გოცირიძისა და ადამიას წასვლა არ დავიტყოთ. ამ ორი ფეხბურთელის სახით გუნდს დიდი ძალა მოაკლდა, თუმც ესეცაა, შეუცვლელი არავინაა. ამ შეკრებაზე არიან ბიჭები, რომლებსაც გოცირიძისა და ადამიას სრულფასოვანი შეცვლა შეუძლიათ.

**— შეცვლით შეცვლიან, მაგრამ გუნდის თამაშზე ეს როგორ აისახება? მწვრთნელს თავდასხმის ხაზის თითქმის მთლიანად გადაწყობა მოუწევს...**

— მწვრთნელის საქმეა, რას როგორ გადააწყობს და მის ნაცვლად მე ვერაფერს გეტყვით.

**— შენ შენი სათქმელი გვითხარი.**

— სამივე თამაში განსხვავებულად ვითამაშეთ. მაგალითად, „ჰანოვერთან“ შეხვედრისას მწვრთნელმა სამჯერ გადააწყო გუნდი, „ზონდერჰაუზენთანაც“ ჯერ დაცვიდან დავიწყეთ, მერე შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ. დღეს კი სულაც ტაიმის დამთავრების შემდეგ მწვრთნელმა მთელი გუნდი შეცვალა. ხან ერთი თავდამსხმელით ვთამაშობთ, ხან ორით, დღეს წინა ხაზში სამნიც იყვნენ. თავდასხმაში საკმაოდ დიდი კონკურენციაა, ექვს ფეხბურთელს შეუძლია გოცირიძისა და ადამიას შეცვლა და მათგან მერაბ კოჭლაშვილი ძირითადი შემადგენლობისთვის რომლებს შეარჩევს, ვერ გეტყვით.

**— ნახევარდაცვაში როგორაა საქმე? შუაში ისევ შენ და დიღმელაშვილი იქნებით?**

— ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა, შესაძლოა, შუაში მალიჩავამაც ითამაშოს. მწვრთნელმა მალიჩავა ერთხელ მე შემიწყვილა, ერთხელ დიღმელაშვილს.

**— ისევ თავდასხმაზე გკითხავ: ცენტრალური, დამრტყმელი ფორვარდი ვინ იყო ამ სამ თამაშში?**

— ამ პოზიციაზე გოჩაშვილიც იყო და ერეკლე მერებაშვილიც. მათთან ერთად კი მარცვალაძეც თამაშობდა. საბოლოო ვარიანტი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ახლა ძიების პროცესია და მერაბ კოჭლაშვილს საქმე თავზესაყრელად აქვს.

**— შენს პირად საქმეებზე რას გვეტყვი? „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი გააგრძელე–**

— კონტრაქტი ერთი წლით გავაგრძელე.

**— და „ვიტ ჯორჯიას“ უახლოეს ერთ წელიწადში არ დატოვებ?**

— ეს უკვე აღარ ვიცი. თუ რომელიმე გუნდი მიმიწვევს და „ვიტ ჯორჯიას“ სატრანსფერო თანხას გადაუხდის, წავალ, არა მგონია, ხელი შემიშალონ.

**— ჯერჯერობით სხვა გუნდებიდან არავინ დაგკავშირებია?**

— ჯერჯერობით არა... მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

**— კეთილი. მაშ, მომავალ მეტოქეზეც გკითხავ და მოვრჩეთ. ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ ფარერული „ჰაფნარი“ რომ გყავთ, კმაყოფილები ხართ?**

— უკმაყოფილონი რატომ უნდა ვიყოთ?! ვფიქრობ, „ჰაფნარი“ არცთუ ისე ძლიერი გუნდია და მისი დამარცხება შეგვიძლია. კენჭისყრის მერე მშვენიერი განწყობა გვაქვს — პირველი ბარიერის გადალახვა არ უნდა გაგვიჭირდეს, მერე კი ვნახოთ... არც „ვისლა“ უნდა იყოს მაინცდამაინც უძლეველი.

**ძოგა ინასარიძე**

ლაშა ნოზაძისთვის (№9) ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის გადალახვა პრობლემა არ უნდა იყოს



გუშინ დღელამოდ ფოტო

*უცნაური კია, მაგრამ... ქართველი კაცი ბრაზილიაში საფეხბურთო ლექციებს კითხულობს. პარანას-შტატის-ლიდერი, ზირებული ლექტორი, პროფესორი გოჩა ალადაშვილი თბილისს რვაწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. გუშინ ის რედაქციაშიც გვესტუმრა და ბრაზილიურ-ქართული ფეხბურთის პერსპექტივებზე, პარტნიორობასა და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე ვილაპარაკეთ...*

# ალადაშვილმა დაკითხვას გაუძლო

**— ბავშვობაში, როგორც ყველა, მეც ვთამაშობდი ფეხბურთს, მერე კი მწვრთნელობა ვცადე. ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა ჩემში ნიჭი დაინახა და 1991 წელს მოსკოვში მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში გამიშვა. მისი დამთავრების შემდეგ სწავლა ასპირანტურაში გავაგრძელე, 1999 წლის 19 იანვარს კი დისერტაციაც დავიცავი. ჩემთან ერთად საკმაოდ ბევრი ბრაზილიელი სწავლობდა, განსაკუთრებით ანტონიო კარლოს გომესს დავუმეგობრდი. ის ახლა „ატლეტიკო პარანენსეში“ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ერთი სიტყვით, მან ბრაზილიაში მიმიწვია. თავიდან ძალიან გამიჭირდა, განსაკუთრებით პორტუგალიური ენის შესწავლა, ანტონიო მაშაყირებდა კიდეც, როგორც ჩვენ ვიწვალეთ რუსულის სწავლისას, შენც იგივე გელისო. ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად დასრულდა და დღეს პარანას შტატის დედაქალაქ კურიტიბას პრესტიჟულ უნივერსიტეტში ვმუშაობ სპორტულ-ფიზიკური აღზრდის კათედრაზე და ლექციებს ფეხბურთის განხრით ვკითხულობ.**

**— ბრაზილიაში საფეხბურთო ლექციების კითხვა, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჟღერს ქართველისთვის...**

— ამაში გასაკვირი არაფერია. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, ბრაზილიელებმა კი ნიჭის დაფასება იციან და ეროვნებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ბრაზილიაში სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორები უფრო იყო თვალში საცემი — ოთხი წელი ველოდი მოქალაქეობას. ეს პროცესი კი ძალიან რთულია, ბოლო ეტაპზე, ფაქტობრივად, დაკითხვა ეწყობა. მთავარი მოთხოვნა კი ენის სრულყოფილი ცოდნაა. ახლა ბრაზილიას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევ.

**— ლექციების გარდა ფეხბურთთან რა კავშირი გაქვთ?**

— ბრაზილიის ერთ-ერთი უდიდესი შტატის, პარანას ვაჟთა და ქალთა საუნივერსიტეტო გუნდების კოორდინატორი ვარ. სხვათა შორის, ჩვენი გუნდი პარანას შტატის არაერთგზის ჩემპიონია . უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ შეგექმნათ, გეტყვით, რომ ეს დაახლოებით ის დონეა, რაც ამერიკული სტუდენტური კალათბურთი. 2001 წელს კი ბრაზილიის ქალთა ნაკრების კოორდინატორიც ვიყავი. ამ ნაკრებმა ჩინეთში მსოფლიო უნივერსიადაზე ოქროს მედლები მოიპოვა.

**— პარანას შტატის სახელიან კლუბებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს „ატლეტიკო პარანენსესთან“, „კურიტიბასთან“, „პარანა კლუბთან“. „სან პაულუს“ დირექტორი, წარმოშობით იტალიელი ნეი მეკინგი კი ჩემი უახლოესი მეგობარი და მასწავლებელიცაა. გარდა ამისა, 2003 წელს „პარანა კლუბის“ ახალგაზრდული გუნდის კოორდინატორიც გავხდი. ხელმძღვანელებმა მწვრთნელობაც კი შემომთავაზეს, მაგრამ ბრაზილიაში მწვრთნელობა ძალიან რთული საქმეა, მე კი საუნივერსიტეტო ცხოვრებას ვერ მოვწყდები.

**— ბრაზილიაში ყოველწლიურად არაერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდება ხოლმე, თუმცა ამბობენ, გაცილებით მეტი იკარგებაო...**

— ეგრეა. ბრაზილიაში ფეხბურთელი 20 წლამდე ახალგაზრდად ითვლება, მერე კი იგი ან მალევე უნდა გახდეს პროფესიონალი ფეხბურთელი, ან თავის რიგს დაელოდოს. კონკურენცია კი ძალიან დიდია. თითოეულ კლუბს, სულ მცირე, ათამდე ნიჭიერი ფეხბურთელი ჰყავს, ამათგან ზოგი უძლებს კონკურენციას, ზოგიც ვერა... და... ასე გრძელდება ყოველ წელს.

**— იმ დაწუნებულ ფეხბურთელებს ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში თავის გამოჩენა თავისუფლად შეეძლებათ. თქვენ შეგიძლიათ, ქართული კლუბები ასეთ ფეხბურთელებთან დააკავშიროთ?**

— ბრაზილიელებიც დაინტერესებულნი არიან ქართულ კლუბებთან ურთიერთობით. გარდა ამისა, ბრაზილიაში საოცრად იაფი ჯდება მაღალი დონის შეკრების მოწყობა. თანაც სპარინგ-მატჩების პრობლემაც არ არსებობს, იქ ხომ უამრავი მაღალი დონის კლუბია. სიმართლე გითხრათ, 1993 წლის მერე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩები არ მინახავს და არც ის ვიცი, დღესდღეობით რა დონეა.

**— ახლაც არაფერი იცით ქართულ ფეხბურთზე?**

— წარმოდგენის შექმნა ერთია და ნახვა მეორე. თბილისში 4 აგვისტომდე ვრჩები, ჩემპიონატის რამდენიმე მატჩს დავესწრები და ამის მერე უფრო მეტს გავიგებ. თუმცა ახლავე ვიცი, რომ არაერთ ბრაზილიელ ფეხბურთელს შეუძლია ჩვენი გუნდების და ჩემპიონატის გაძლიერება. აილტონის მაგალითით ვთქვათ, ის მესამე ლიგის უსახელო კლუბ „ფეხოვიარიაში“ თამაშობდა, მაგრამ გერმანელმა სკაუტებმა აღმოაჩინეს და დანარჩენი თქვენც კარგად იცით. ბრაზილიაში საკმაოდ ხშირად ჩამოდის ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი პაოლო როსი და ყმაწვილებს, ფაქტობრივად პლაჟებზე ეძებს. ბარსელონელებმა 17 წლის ტიაგო მოტა სწორედ ასე იპოვეს.

**— ვიცით, რომ თბილისის „ლოკომოტივში“ მეგობრები გყავთ, ამ კლუბთან საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას ხომ არ აპირებთ?**

— ვნახოთ, მე მზად ვარ, საკმაოდ საინტერესო წინადადებებიც მაქვს. მთავარია, მოვლენების განვითარებას და თავად „ლოკომოტივის“ ინტერესის გაღრმავებას დაველოდოთ. გია ფირცხალავა ჯერ კიდევ „დინამოში“ მუშაობდა, როცა ჩემი მოსაზრებები გავუზიარე. კერძოდ, „ატლეტიკო პარანენსე“ რამდენიმე ფეხბურთელის განათხოვრებაზეც ყაბულს იყო...

**— დღეს კოპა ამერიკა იწყება. გუნდების შანსებზე რას იტყვით?**

— ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა პარეირამ გადაწყვიტა, ძირითადის წამყვანი ფეხბურთელები დაასვენოს, დამღლელი სეზონის შემდეგ ძალები აღიდგინონო. ამიტომ ბრაზილიელებმა, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობა წაიყვანეს პერუში. მიუხედავად ამისა, ფავორიტად მაინც ბრაზილიას ვთვლი, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ქვეყანას თავისი პოტენციალის გათვალისწინებით ორი-სამი თანაბარძალოვანი ნაკრების გაკეთება შეუძლია.

**დავით ერაძე**

# მიხეილ აშვეთია: დღეს ჩემი ჩემპიონატი იწყება

*რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრე 3 ივლისს დაიწყო, მაგრამ აშვეთია-ასათიანის „ლოკომოტივს“ არ უთამაშია — მოსკოველი რკინიგზელები „სპარტაკს“ უნდა შეხვედროდნენ, „სპარტაკმა“ კი ინტერტოტოზე ითამაშა და მატჩიც ამიტომ გადაიდო. დღეს „ლოკომოტივი“ თანაქალაქელ „დინამოს“ ესტუმრება, „სარბიელის“ კითხვებს კი გუშინ მიხეილ აშვეთია პასუხობდა.*

ბაბრი ჯიმილაძის ფოტო

## რუსებს თავი საბერძნეთით გამოეყოფათ

**— საშუასეზონო შეკრება საფრანგეთში გაიარეთ — მეორე წრეს ოპტიმალურ მზადყოფნაში ხვდები?**

— საფრანგეთში ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშე და სამი გოლი გავიტანე, მაგრამ ის, თუ როგორ ვარ მზად, ახლა გამოჩნდება „დინამოსთან“.

**— მეხუთე ადგილზე ხართ და ლიდერ „ტორპედოს“ ცხრა ქულით ჩამორჩებით — საჩემპიონო შანსებზე რას იტყოდი?**

— „სპარტაკთან“ მატჩი რეზერვში გვაქვს და დაკარგული ქულებით „ტორპედოს“ მხოლოდ ექვსი ქულით ჩამოვრჩებით. ასე რომ, არცთუ ურიგო საჩემპიონო შანსი გვაქვს.

**— მეორე წრეს „ლოკომოტივი“ მოგებით დაიწყებს?**

— „დინამო“ სერიოზული მეტოქეა, მაგრამ უეჭველი უნდა დავამარცხოთ.

**— ფრანგულ შეკრებაზე თავდასხმაში ვინ იყო შენი მეწყვილე?**

— რუსლან პიმენოვი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატიდან „ლოკომოტივს“ ახლა სხვა შემტევებიც დაუბრუნდნენ. მოკლედ, კონკურენცია გაიზარდა და ეს კარგიცაა. არ ვიცი, „დინამოსთან“ სასტარტოში ვიქნები თუ არა, მაგრამ თამაში ნაღდად მომიწევს.

**— როგორ ფიქრობ, რუსულ პრემიერლიგაში ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს რომელი გუნდი თამაშობს?**

— „ლოკომოტივი“ კარგ ფეხბურთს თამაშობს, ცეესკაც, მას შემდეგ, რაც ამ გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს.

**— ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებში ექვსი ლოკომოტიველი იყო — რას ამბობენ იქიდან დაბრუნებული შენი თანაგუნდელები? რისი ბრალი იყო მათი ნაკრების წარუმატებლობა?**

— ეგ რომ იცოდნენ, რა უჭირთ. ერთი სიტყვით, ბევრს არაფერს ამბობენ, ძალიან გაწბილებულნი არიან, თუმც ის კი თქვეს, ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს მხოლოდ ჩვენ მოვუგეთო. „ლოკომოტივში“ დაბრუნებულებმა მხოლოდ სამი დღე დაისვენეს და „დინამოსთანაც“ ყველა ითამაშებს მარატ იზმაილოვის გარდა — ის ტრავმირებულია და რამდენიმე მატჩს კიდევ გამოტოვებს.

**— ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი, რომელსაც შესარჩევ ჯგუფში ევროპის ჩემპიონი ეყოლება?**

— ძალიან გაგვიჭირდება, შესარჩევი ჯგუფებიდან ყველაზე ძლიერში ჩვენ მოვხვდით.

**— რატომ არ წაიყვანეს რუსეთის ნაკრებში „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი დმიტრი ხოხლოვი?**

— იარცევს არ მოსწონს, თანაც ხოხლოვს მცირე ტრავმაც აწუხებდა. პორტუგალიაში კარგად გამოჩნდა, რომ ხოხლოვის არყოფნა რუსეთის ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იყო.

**— ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა ფორვარდებად რუსებიდან ვინ მიგაჩნია?**

— ჩემი თანაგუნდელი დმიტრი სიჩოვი და ზენიტელი ალექსანდრ კერჟაკოვი.

**— წლეულს ვერც ჩემპიონთა ლიგაში გაიტანე გოლი და ვერც მიმდინარე რუსეთის პრემიერლიგაში — რა დაემართა მიხეილ აშვეთიას?**

— მეორე წრე ჩემი ჩემპიონატი იქნება. ჩემს კარიერაში სულ ისე ხდება, რომ პირველ წრეში მიჭირს გოლების გატანა. ასე იყო წინა სეზონშიც, როცა პირველ წრეში თავი ვერ გამოვიჩინე, მეორეში კი 11 გოლი შევაგდე. ვერ გამიგია, ეს რისი ბრალია.

**დავით თავართქილაძე**

# ახალკაცის ახალი რომანი

**მოსკოვის „ლოკომოტივი“** რომან ახალკაცის კალინინგრადის „ბალტიკაში“ განთხოვრებას რომ აპირებდა, ადრეც გაუწყეთ, გუშინ კი ყველაფერი საბუთებით გაფორმდა და ქართველი შემტევიც უკვე კალინინგრადშია — ახალკაცი იქ სეზონის ბოლომდე დარჩება.

შეგახსენებთ, რომ „ბალტიკას“ „ლოკომოტივის“ თავკაცის, იური სიომინის ვაჟი ანდრეი წვრთნის და იქვეა ექსლოკომოტიველი ფორვარდი ზაზა ჯანაშიაც. „ბალტიკა“ პირველი ლიგის აუტსაიდერია და იქნებ ქართველები რამეში შეეშველონ — ახალკაცი „ლოკომოტივის“ დუბლებში მთავარმეგოლე გახლდათ — პირველ წრეში რვა გოლი გაიტანა.

# Euro 2004 500 000 000 ევრო



ბაბრი ჯიმილაძის ფოტო

**ევროპის** ჩემპიონატი რომ მთავრდებოდა, უეფას წევრი ეროვნული ასოციაციების პრეზიდენტები და გენერალური მდივნები პორტუგალიაში მაშინ შეიკრიბნენ.

ქვეყნის სტადიონებზე ისეთი ამბები ხდებოდა, დედა-შვილს არ აიყვანდა და, აბა, უეფასა თუ ფედერაციების დიდმოხელეებს კონფერენციაზე დიდხანს სასაუბროდ რა გააჩერებდა. ევროპული ფეხბურთის მესვეურთა შეხვედრაც მცირეხნიანი იყო და მთავარი, რაზეც პორტუგალიაში ილაპარაკეს, ზოგადად ფეხბურთის განვითარებას შეეხებოდა. ცალკე ითქვა უეფას ფინანსურ პროგრამებზეც, „ჰეთ თრიქსა“ და ამ მძლავრი ორგანიზაციის 50-წლოვან იუბილესთან დაკავშირებით შემოღებულ ახალი დახმარების პროექტებზე, იყო მსჯელობა სხვა წვრილ-წვრილ საკითხებზე.

— უეფას ევროპის ჩემპიონატის ჩატარებით დაახლოებით 500 მილიონი ევრო შეუვიდა. აღინიშნა, რომ პორტუგალიის ჩემპიონატი ფინანსურად, სანახაობრივად, წმინდა სპორტული თვალსაზრისით ყველა წინამორბედზე გაცილებით უკეთესი იყო — გვითხრა პორტუგალიიდან გუშინ დაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანდრო აბაშიძემ.

**ძოგბა ინასარიძე**

# ალანთა ჯოკერი

## ოსებმა ყაველაშვილი დაიმტკიცეს




**ვლადიკავკაზის „ალანიამ“** ქართველ თავდამსხმელ მიხეილ ყაველაშვილთან რომ გააფორმა კონტრაქტი, უკვე იცით. გუშინ კი ოსებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ჩვენებური საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანეს. რუსული პროფლიგის განცხადებით, „ალანიამ“ ყველა ოფიციალური საბუთი პირნათლად წარადგინა და ყაველაშვილსაც პრემიერლიგაში თამაშის უფლება მისცეს.

ახლა „ალანია“ სანკტ პეტერბურგშია და იქაურ „ზენიტთან“ მატჩისთვის ემზადება. გუნდთან ერთადაა სამივე ქართველი ფეხბურთელი— ლევან გვაზავა, ვიტალი დარასელია და მიხეილ ყაველაშვილი. მართალია, „ყაველამ“ „სარბიელთან“ საუბარში თქვა, რომ „ზენიტთან“ ალბათ არ ითამაშებს, მაგრამ ოსები მისი დაბრუნებით გახარებულნი არიან და კლუბის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ცნობით, ყაველაშვილის დებიუტს სულმოუთქმელად ელიან, იქვე კი ჩვენებურს მეტსახელიც მოუგონეს — „ალანთა ჯოკერი“.

**ძახა შალამბერიძე**

# ცდა ჯაჯობია სასწორზე

ბაბრი ჯიმილაძის ფოტო

**ხარკოვის „მეტალისტში“** დიდი სატრანსფერო ამბებია. მთავარი მწვრთნელი გენადი ლიტოვჩენკო თითქმის ყოველდღე იწუნებს გასასინჯად მიწვეულ ფეხბურთელებს.

მოლდოვური „ზიმბრუს“ თავდამსხმელი სერგეი პისნიკი, რუსეთის მოქალაქე სერგეი კოტრიკაძე და უზბეკი ნახევარმცველი ვლადისლავ კირიანი მწვრთნელმა უკვე შინ გაუშვა. დაწუნებულთა შორის არ მოხვედრილა ქართველი თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია, თუმც მასთან კონტრაქტის გაფორმებას ხარკოველები მაინც არ ჩქარობენ. 23 წლის ჯაკობია „მეტალისტს“ რამდენიმე ამხანაგურ მატჩში შეეშველა და, როგორც ამბობენ, მისი საკითხი დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს.

ჩვენებურის გარდა ლიტოვჩენკომ ოთხ ფეხბურთელს უკვე „გამოუტანა განაჩენი“ — რუსლან გუნჩაკი, დენის კოლჩინი, კაროლის იასაიტისი და ბრაზილიელი რიბეირუ მომავალ სეზონს „მეტალისტში“ გაატარებენ. ჯაკობია კი ჯერაც ელის...

**ძახა შალამბერიძე**

# თითო ჭიქა თეთრ-წითელი რეჰაგელის ვენახიდან

## ოტო ცოლის და ტაქტიკის ერთგულია

*გერმანია მწვრთნელს ეძებს. საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა ყველაფერი იღონა, მაგრამ ბუნდესნაკრების თავკაცი ჯერ ვერ შეარჩია. ოტმარ ჰიცფელდის უარმა გერმანული ფეხბურთის ბოსტანი შოკურ მდგომარეობაში ჩააგდო, გამოსავალი კი არ ჩანს.*

ინგლისური ენა

ოტოს ცოლი და ტაქტიკა



იქაური მედია რამდენიმე კანდიდატს ასახელებს. მათ შორის არიან ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი, დანიელი მორტენ ოლსენი, ლოთარ მათეუსი და ფრანგი არსენ ვენგერი.

ფორფელდერს წყალი შეუდგა. მას ევრო 2004-ზე ნაკრების წარუმატებლობის მიზეზების დადგენას სთხოვენ, პარარელურად კი ახალი მწვრთნელიც უნდა იპოვოს. კავშირის რამდენიმე წევრისგან კომისია შეიქმნა, რომელიც ბუნდესნაკრების უსახური თამაშის მიზეზებს გამოიკვლევს.

ამსობაში გერმანელებმა ოტო რეჰაგელი მოიკითხეს. „რეჰაკლესი", როგორც მას ბერძნებმა შეარქვეს, ათენში ზარ-ზეიმით ჩავიდა და, ალბათ ხვდებით, როგორ დახვედრას მოუწყობდნენ.

ელინთა ტრიუმფატორ მწვრთნელს გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან კაცი გაუგზავნეს, მაგრამ „მეფე ოტოს" უთქვამს, სულ ცოტა, 20 დღე დასვენება მჭირდება და მხართეძოზე წამოწოლილს ფეხბურთზე ფიქრისთვის არ მეცლებაო.

ფრანც ბეკენბაურმა კი განაცხადა, რომ გაიძახიან, ჩვენი ოტო, ჩვენი ოტოო, მთლად ეგრეც არ არის, რადგან რეჰაგელი სანახევროდ ბერძნებს ეკუთვნითო.

ელინთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს უთქვამს, 2006 წლამდე კი არა, 2008-მდე გვსურს „რეჰაკლესის" დატოვება და არ ვაპირებთ ასეთი აწყობილი გუნდის დაშლასო, ხოლო პრემიერ-მინისტრმა კოსტას კარამანლისმა ოტო რეჰაგელს გვარის შეცვლაზე და მოქალაქეობაზე შეაპარა სიტყვა.

65 წლის გერმანელი კი ჯერ-ჯერობით ისვენებს. „ბილდმა" გამოქექა, რომ თურმე რეჰაგელი ყოველდღე ვარჯიშობს, არ ეწევა, ჯანმრთელი ფილტვები აქვს და ამიტომაც უსტვენს ცალი თითით კარგად.

„რეჰაკლესი" დილაობით საუზმეზე ერთ ჭიქა წითელ ან თეთრ ღვინოსაც სიამოვნებით მიირთმევს, ლუდს კი გაცილებით იშვიათად.

„მეფე ოტოს" ჰყავს მეუღლე ბეატე, რომელთან ერთადაც უკვე 40 წელია, ცხოვრებს. იგი მასწავლებელია და პორტუგალია — საბერძნეთის მატჩს შინ, ესენში უყურა. „ბერძენთა გამარჯვებას ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ ფინალში რომ გავიდნენ, მივხვდი, ოტო თავის სიძლიერეს აუცილებლად დაამტკიცებდა და ასეც მოხდა. ეს გამარჯვება უდიდესია მის კარიერაში და განსაკუთრებული, რადგან ასაკოვანი კაცი სიხარულსაც სხვანაირად განიცდის. არ ვიცი, რას აპირებს სამომავლოდ, დავრჩებით თუ არა საბერძნეთში, ვერ გეტყვით. ოტო თითქმის არასოდეს მთხოვს რჩევას. ერთხელ მის საქმეში ჩავერიე, ხმას აუწია და მივხვდი, რომ უნდა გავჩუმებულიყავი. ახლა ხშირად მესმის, თითქოს ჩემი ქმარი გერმანიაზე გულნატკენი და გამწყრალია, მაგრამ ვინც მას იცნობს, ასე არასოდეს იფიქრებს. მე შეძლებისდაგვარად ვეხმარები, რომ ნორმალურად იმუშაოს და დაისვენოს. ხშირად უთქვამს, ძველებურად მიყვარხარო. კარიერის მანძილზე ბევრი ჯილდო მოუგია, მაგრამ ძალიან თავმდაბალია და მედიდურობა მისთვი უცხოა".

ასეთია „რეჰაკლესის" დახასიათების ბეატესეული ვერსია. „ბილდმა" კი გერმანელი მწვრთნელის ის ტაქტიკაც გაარჩია, რომლითაც მან ევროპა თავდაყირა დააყენა.

მაშ ასე, ოტო რეჰაგელის გუნდი ლიბეროთი თამაშობდა. მის წინ სამი მცველი, შემდეგ ხუთი ნახევარმცველი იყო განლაგებული, ბოლოს კი ერთი ფორვარდი. ბერძენთა ნაკრებისთვის ეს სქემა ზედგამოჭრილი აღმოჩნდა და ფეხბურთელებმაც ძალიან კარგად აითვისეს.

ელინთა განაპირა ნახევარმცველები და ფორვარდები (როცა მოედანზე ორი თავდამსხმელი თამაშობდა) მთელი მატჩის განმავლობაში მოძრაობდნენ, ადგილებს იცვლიდნენ და ბოლოს მეტოქის თავგზააბნეული მცველები ცდებოდნენ. ბილდელთა აზრით, რეჰაგელის ნაკრებში მცველი, ნახევარმცველი და თავდამსხმელი ერთმანეთისგან ძნელად გასარჩევი იყო და ერთიმეორის საქმეს ყველა ფრიადზე ასრულებდა.

საბერძნეთის პრეზიდენტმა კოსტას სტეფანოპულოსმა განაცხადა, გვსურს, რეჰაგელი ჩვენთან დარჩესო. „ის ბერძენი არაა, მაგრამ ამ ქვეყნისთვის უდიდესი საქმე გააკეთა. მე ვერ დავაძალებ დარჩენას, ეს მისი გადასაწყვეტია, ხოლო თუ დაგვტოვებს, ისევ ისე გვეყვარება და პატივს ვცემთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# 90 ტიგანა, მეტიუ, ბლანი და ჰოდლიც?!

## საფრანგეთის მამალთმამალს პარასპევს გამოაცხადებენ









მოგეხსენებათ, ჟაკ სანტინი საფრანგეთის ნაკრებიდან რომ მიდიოდა, ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე იყო გადაწყვეტილი. სანტინი ლონდონის „ტოტენჰემის" მწვრთნელი გახდა. შესაბამისად, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის გამოთავისუფლებულ ადგილზე პრეტენდენტების დასახელება დაიწყეს.

კანდიდატთა შორის განიხილება ინგლისელი გლენ ჰოდლის ვარიანტიც, რომელსაც თავად მიუმართავს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის.

„გლენ ჰოდლისგან ფაქსი სამშაბათს მივიღეთ — თქვა გუშინ ფედერაციის პრეს-მდივანმა — რომელსაც პრეზიდენტი კლოდ სიმონე ოთხშაბათს გაეცნობა, რაკი პარიზში არ იმყოფება".

სხვათა შორის, სანტინი სწორედ იმ კლუბის მწვრთნელად წავიდა, სადაც გლენ ჰოდლმა ფეხბურთელობისას სახელი გაითქვა, მერე კი ამავე კლუბის მენეჯერიც იყო. აქვე გავიხსენოთ, რომ ჰოდლი 1996-99 წლებში ინგლისის ნაკრებს თავკაცობდა. საფრანგეთის ნაკრებს კი აქამდე მხოლოდ ერთხელ ჰყავდა უცხოელი მწვრთნელი — 1973-75 წლებში მას რუმინელი სტეფან კოვაჩი წვრთნიდა.

ჰოდლის გარდა ნაკრების მწვრთნელობა ჟან ტიგანას, ბრუნო მეტიუს, რენე ჟერარს (როჟე ლემერის ყოფილი თანაშემწე) და ლორან ბლანს სურთ. ბლანთან და ტიგანასთან სიმონეს პორტუგალიაში ულაპარაკია, ჟერარს პარიზში შეხვედრია, მეტიუსთან კი ტელეფონით უსაუბრია. ახლა გლენ ჰოდლის ფაქსსაც წაიკითხავს და წესით, პარასკევს საფრანგეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს.

**ირაკლი ნინიძე**



# ჰოლანდიაც უთავოდ დარჩა

## ადვოკაატმა სიკვდილზე უარი თქვა

ჰოლანდიაში მას ზოგი ჩამოხრჩობით, ზოგი კი ჩაქოლვით ემუქრებოდა. აბა, ვინ ისურვებს ასეთ ხვედრს და გუშინ დიკ ადვოკაატი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა.

„გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა, მისი დატოვება გვსურდა, თუმც თავად არ ინება. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემთ და ახალი მწვრთნელის ძებნას ვიწყებთ“ — განაცხადა ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ერთერთმა მოხელემ.

დიკ ადვოკაატი: „ჩემთვის მისაღებია ბევრის კრიტიკა, მაგრამ როცა ჩაქოლვას და ჩამოხრჩობას გიპირებენ, ასეთ ვითარებაში ცხოვრება ძნელია“.

56 წლის ადვოკაატმა სამწვრთნელო კარიერა სამოყვარულო კლუბში დაიწყო, მერე კი ეროვნულ გუნდში რინუს მიხელსის თანაშემწედ მუშაობდა.

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე ჰოლანდია მისი თავკაცობით მეოთხედფინალში გავიდა, 2000-ში იგი მეორედ დანიშნეს ნაკრების მწვრთნელად. ევროპის განვლილ ჩემპიონატზე ნახევარფინალს უწია, მაგრამ ჩეხებთან ჯგუფში მარცხის გამო ისეთები გადაიტანა, რომ კონტრაქტის გაგრძელება იუარა.

დიკ ადვოკაატის შემცვლელს 18 აგვისტომდე მოძებნიან, რადგან 18-ში ჰოლანდიელებს შვედებთან ამხანაგური მატჩი ელით.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ევრონილები დარიგდა

ევროთასი პატრონს ჩაბარდა. დათვლილია ყვითელ-წითელ ბარათები, გოლები, ქულები და ახლა ფულის დათვლის დროც მოვიდა. პორტუგალიიდან ბერძნებმა თასი ხომ წაიღეს და საკმაოდ მსუყე თანხაც ჩაიჯიბეს, თუმც ხელცარიელნი არც სხვები დარჩენილან.

იტალიის, ინგლისის, ესპანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის დარი გუნდებისთვის ამ ტურნირიდან მიღებული შემოსავალი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს არ წყვეტს, მაგრამ მაგალითად, ლატვიას უეფასგან ბოძებული კუთვნილი ევროები ძალიან წაადგება საფეხბურთო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.



ალექსანდრს სტარკოვსის ლატვია შინ ქულით და ბევრი ფულით დაბრუნდა

ჩემპიონატის მონაწილე ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ 6-6 მილიონი ევრო მიიღო. გარდა ამისა, მოგებაზე და ფრეზეც შესაბამისი პრემიები იყო დაწესებული. მეოთხედფინალში და ნახევარფინალში გასულებმა, ცხადია, უფრო მეტი მოიხვეჭეს, ვიდრე ჯგუფში ჩარჩენილებმა.

ფინალში დამარცხებულმა პორტუგალიამ ზემოთ ხსენებული 6-ის გარდა დამატებით 5 მილიონი მიითვალა, ბერძნებს კი სამით მეტი ერგოთ.

ჩეხებმა ოთხი მატჩი მოიგეს და ორიც რომ მიეყოლებინათ და ზედიზედ ექვსი გამარჯვებით ჩემპიონები გამხდარიყვნენ, მათი ხაზინა 22 მილიონით შეივსებოდა.

უეფას ბუღალტერთა ვარაუდით, ტურნირმა ამ ორგანიზაციის სალარო 800 მილიონი ევროთი უნდა შეავსოს. შემოსავლის ძირითადი ნაწილი რეკლამასა და ტელეტრანსლაციების გაყიდვაზე მოდის. ამ თანხიდან 300 მილიონით ხარჯებს გაასწორებენ, დაახლოებით ამდენივე დასჭირდა ევრო 2004-ის ორგანიზებას, ხოლო დანარჩენი ფული უეფას წევრ 52 ფედერაციაზე განაწილდება და ამ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება.

ჯერჯერობით და სამწუხაროდ ასეა — ჩვენ ნარჩენები გვხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორდენი და მადლობა სკოლარის პორტუგალიას



ცრემლად დაღვრილმა პორტუგალიის პრეზიდენტმა ჟორჟე სამპაიომ ორშაბათს სელესაო და მისი ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფილიპე სკოლარი ინფანტ დომ ენრიკეს ორდენებით დაჯილდოვა, მისასალმებელ სიტყვაში კი გმირებად მოიხსენია.

„ცრემლები, რომლებიც ფინალის მერე თქვენს თვალებზე შევნიშნე, ადასტურებს, როგორი თავდადებითაც ასრულებთ თქვენს მოვალეობას, ამტკიცებს თქვენ პატრიოტიზმს — უთხრა ფეხბურთელებს და სკოლარის პრეზიდენტმა — სწორედ ამისთვის მადლობა მინდა გადაგიხადოთ და მოგილოცოთ. ჩვენ ყველანი ვამაყობთ თქვენით. მართალია, ფინალში წავაგეთ, მაგრამ რა ვუყოთ, ხდება ხოლმე“.

**კოტე კეკელია**

ან უკვე „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ საფრანგეთის ნაკრების სამზარეულო გამოამზეურა. მან განაცხადა, რომ ინგლისთან მატჩამდე, ვარჯიშისას, ტიერი ანრი და რობერ პირესი ერთმანეთს დაერივნენ — მუშტებმოღერებული არსენალელები მე გავაშველე — თქვა მწვრთნელმა.

# ფაქტები, ჟაკ!

## ანრიმ პირესთან კრივი უარყო

„მეთოფეთა“ მეგოლემ ეს ამბავი შეიტყო და სანტინის განცხადებას მონაჩმახი უწოდა: „ვის აქვს ფოტო, რომელზეც ჩემი და პირესის ჩხუბია გადაღებული? ეს ტყულია! იცით, როგორ მომწყინდა უსამართლო ბრალდებების მოსმენა? გეუბნებით, რომ სანტინის ნათქვამი სიცრუეა. მე და რობერი ძალიან კარგი მეგობრები ვართ. არავითარი ჩხუბი, მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს მხოლოდ შელაპარაკება იყო, რაც ვარჯიშისას ჩვეულებრივი ამბავია“.

ტიერი ანრიმ ისიც უთხრა ჟურნალისტებს, რომ მექსიკაში რობერ პირესთან ერთად ვიყავი დასასვენებლადო: „შვებულება ერთად გავატარეთ და ეს ჩვენს კარგ ურთიერთობას ადასტურებს. გაინტერესებთ, როგორი ძმაკაცობა გვაქვს? ნახეთ შვეიცარიასთან მატჩში გატანილი გოლს როგორ მილოცავს და თავად მიხვდებით“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ევროტოლოები

„ბილდმა“ ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე ფეხბურთელთა ცოლების გამოსარჩევად გამოკითხვა მოაწყო. პირველ ადგილზე მიხაელ ბალაკის მეუღლე სიმონე გავიდა, მეორეზე დავიდ ტრეზეგეს ცოლი ბეატრისი, მესამეზე კი ზიდანის ტურფა ვერონიკა.

რაც შეეხება ბოლოადგილოსნებს, ნუსხა ებე სანდის ქალბატონმა ტრინე კრისტენსენმა და მაიკლ ოუენის მეწყვილე ლუის ბონსალმა დაასრულეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა და იწყება საკლუბო სეზონი, რომლის ამბებსაც სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ, რაც მეტი დრო გავა ევროს დასრულებიდან.

„ჩელსიზე“ ვთქვათ, რომელმაც ახალი მენეჯერის, ჟოზე მაურინიუს ხელმძღვანელობით ორშაბათს ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. თუმცა სანამ „ჩელსის“ მზადებაზე ვიტყოდით რამეს, დასრულებულ ევრო 2004-ზე მაურინიუს აზრი მოვისმინოთ

# მაურინიუმ რეჰაგელი და მაურინიუ შეაქო

## დესაი რომ მიდიოდა, ჯეჟმანი მოდიოდა





— ვფიქრობ, ფეხბურთი შეიცვალა. დღეს გადამწყვეტი გუნდურობაა და არა ინდივიდუალური ოსტატობა. ამბობენ, რომ საბერძნეთმა ანტიფეხბურთი ითამაშა. მე საპირისპირო აზრის ვარ. ოტო რეჰაგელმა დიდებულად იმუშავა, მან ტაქტიკა შემადგენლობას მოარგო. საქმე ის არის, რომ ბერძნებს არ ჰყავთ ვარსკვლავები და ამიტომაც სხვა ტაქტიკით საბერძნეთი ვერაფერს მიაღწევდა. დიდი ფეხბურთელების არყოლა რეჰაგელმა გუნდური ორგანიზებით აანაზღაურა. სხვათა შორის, მეც ივივე არ გავაკეთე? საბერძნეთის ნაკრების და „პორტუს“ ტაქტიკა დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ამ ტაქტიკით „მანჩესტერს“, „დეპორტივოს“ და „მონაკოს“ მოვუგეთ. ჩემზე იმასაც ამბობენ, „პორტუში“ როგორც მუშაობდა, „ჩელსიში“ ისევე ვერ იმუშავებს, რაკი „ჩელსი“ ვარსკვლავებით არის გადაჭედილი და მაურინიუ მათ პორტუულ ტაქტიკას ვერ მოარგებსო. ასე არ არის, მთავარია, ფეხბურთელებმა გაიაზრონ, რას ვითხოვ მათგან და გაიაზრონ, რომ ფეხბურთი გუნდური თამაშია.

სანამ მაურინიუ ასეთ რამეებს ამბობდა, ლონდონში მატია კეჟმანი ჩავიდა აბრამოვიჩის ხალხთან საბოლოოდ მოსალაპარაკებლად და სამედიცინო შემოწმების გასავლელად. შეგახსენებთ, რომ კეჟმანი სერბია, ჰოლანდიურ პსვ-ში თამაშობს და 25 წლისაა. როგორც ამბობენ, „ჩელსის“ და მის კონტრაქტს წინ ველარაფერი დაუდგება. ფეხბურთელი ბრიტანეთში სამუშაო ვიზის მიღებას ელოდება და ისიც წესით, ერთ კვირაში უნდა მისცენ.

— ჟოზე მაურინიუს რამდენჯერმე ველაპარაკე და ზუსტად ამიხსნა, რას ითხოვს ჩემგან — თქვა კეჟმანმა — ასეთ გუნდში და ასეთ მწვრთნელთან მუშაობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

შევნიშნოთ, რომ „ჩელსიში“ კეჟმანის მისვლით ძალიან სუსტდება ერნან კრესპოს და ადრიან მუტუს პოზიციები. სწორედ ამის გამო უკვე ხმებიც დაირხა, „ჩელსი“ კრესპოს „მილანში“ გაანათხოვრებსო.

ამასობაში „ჩელსიდან“ წავიდა ფრანგთა ნაკრების კაპიტანი მარსელ დესაი. 35 წლის მცველს კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა და აღარ გაუგრძელეს. აქვე დავძინოთ, რომ დესაის და „ჩელსის“ გაყრა ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, კლუბი და ფეხბურთელი ჯერ მხოლოდ სიტყვიერად არიან ამაზე შეთანხმებულნი.

დესაი „ჩელსიში“ 1998 წლიდან თამაშობდა და იქ „მილანიდან“ მივიდა, იქამდე კი „მარსელში“ ბურთაობდა. ის მეორე დიდსახელიანი ფეხბურთელია ხუან ვერონის მერე, ვინაც მაურინიუს მისვლის მერე „ჩელსიდან“ გაუშვეს. სად დაასრულებს დესაი კარიერას, ჯერჯერობით უცნობია.

**ირაკლი ნინიძე**

# რუნის ხუთიანი დაუწერეს, ევერტონს CHANG BEER

გუშინ „ევერტონმა“ უეინ რუნის ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. დეტალები არ გაამხილეს, მაგრამ თქვეს, რომ ეს კონტრაქტი კლუბის ისტორიაში უძვირესია.

„ევერტონის“ აღმსრულებელმა დირექტორმა ტრევორ ბირჩმა განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, უეინს შეთავაზებული პირობები მოეწონება, რადგან მის მოთხოვნებს სავსებით პასუხობს. გუნდის ქომაგები ნერვიულობენ, ევრო 2004-ის შემდეგ ხომ უეინ რუნის წაყვანის ბევრი მსურველი გამოჩნდა. ფანებს სურთ, რომ მათი ჯილა „გუდისონ პარკზე“ დარჩეს და მისი მომავალი აღელვებთ. ვფიქრობ, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება“.

მერსისაიდულ კლუბს ამასობაში სპონსორი გამოუჩნდა. ლუდის მწარმოებელმა ტაილანდურმა ფირმამ **CHANG BEER** ევერტონელებს მილიონ ნახევარი ევრო გადაუხადა და ამის სანაცვლოდ გუნდის მაისურაზე წარწერის განათავსების უფლება მიიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფინალიდან ბარსელონაში

## დეკომ თამაში აეროპორტიდან დაიწყო

პორტუგალიელი ანერსონ ლუიშ და სოუზა დეკო უკვე კატალონიური „ბარსელონას“ ფეხბურთელია. ევრო 2004-ისა და განვლილი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი გმირი „პრატის“ აეროპორტს 5 ივლისის ღამეს ეწვია და იქ დამხვდურ მრავალრიცხოვან თაყვანისმცელთა არმიას მხნე დაპირებით გაუხარა გული.

„ქომაგებს უნდა სჯეროდეთ ჩემი, რადგან აქ დიდი გამარჯვებების მოსაპოვებლად მოვედი“ — აი, რა თქვა დეკომ კატალონიურ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე.

„პორტუს“ აწ უკვე ყოფილმა შემტევმა ნახევარმცველმა სამედიცინო შემოწმება გუშინ დილით გაიარა, ხოლო საღამოს იგი „კამპ ნოუზე“ ფანებს წარუდგინეს. კონტრაქტის თანახმად, დეკო „ბარსელონაში“ 4 სეზონის განმავლობაში ითამაშებს, ხოლო „პორტუ“ მის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროსა და რიკარდო კვარესმას მიიღებს.

დეკომ კატალონიურ მედიასთან საუბრისას ლონდონის „ჩელსისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ საფეხბურთო აგენტების გაწბილების მიზეზები გააშხილა: „ბარსელონაში“ თამაშზე ვოცნებობდი. ამ ტრანსფერით ძალიან ბედნიერი ვარ და ვეცდები, გუნდს გამარჯვების მისაღწევად ყველანაირად დავეხმარო“.

ჟოზე მაურინიუს ოდინდელი შეგირდი ბრწყინვალე პასითა და მოედნის ცენტრში გაზრებული მოქმედებით გამოირჩევა. ტიტულებითაც დაიკვეხნის — პორტუგალიის სამგზის ჩემპიონია, უეფას თასითა და ჩემპიონთა თასითაც („მონაკოსთან“ ფინალურ შეხვედრაში მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს). იწონებს თავს. ქვეყნის ნაკრებში კი 15-ჯერ უთამაშია. „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ახალი შენაძენით ძალიან კმაყოფილია — დეკო ბრწყინვალე მოთამაშეა, დარწმუნებული ვარ, იგი „ბარსას“ დიდ გამარჯვებებს მოუტანს.

**ლადო ხომერიკი**



თეოდოროს ზაგორაკისი

# საუკეთესო ბერძენი ბოლონიაში

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე თეოდოროს ზაგორაკისმა „ბოლონიასთან“ კონტრაქტი გააფორმა. ამის შესახებ გუშინ ათენის აეკ-ის თავმჯდომარემ განაცხადა.

ბერძენთა ჩემპიონობა მეტად დროული აღმოჩნდა 33 წლის აეკელი ფეხბურთელისთვის, რადგან ათენურ კლუბს 100 მილიონ ევრომდე ვალი დაჰგროვებია და მეორე დივიზიონში ჩაქვეითებას უპირებენ.

„ლესტერის“ ყოფილი მოთამაშის გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოსაც“ ეწადა, მაგრამ აეკ-ის თავმჯდომარე ალექსის კოუიასის თქმით, ზაგორაკისი და „ბოლონია“ უკვე მორიგდნენ და ელინთა კაპიტანი მომავალი სეზონიდან სერია **A**-ში ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯიმი ჯამპი

*ჟაიმე მარკე, იგივე ჯიმი ჯამპი — აი, იმ კატალონიელი ფანის სახელგვარი და მეტსახელი, 4 ივლისს „ეშტადიო და ლუზზე“, ევროფინალის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მოედანზე რომ შეიჭრა და ლუიშ ფიგუს სახეში „ბარსელონას“ დროშა შეაფერთხა, მერე უკან ადევნებულ ნესრიგის დამცველებითურთ ბერძენთა კარის ბადეში გაეხვა. ესეც კატალონიური ვენდეტა — თვით ევრო 2004-ის ფინალისას არ უვიწყებენ ფიგუს „კამპ ნოუდან“ „ბერნაბეუზე“ ხუთი წლის წინანდელ გაქცევას. განაჩენის სისრულეში მომყვანი კი საკმაოდ სახელგანთქმული კაცია — ჯიმი ჯამპი ადრეც მრავალჯერ შევარდნილა პრესტიჟულ ტურნირთა ფინალურ არენაზე, ოლონდ ტიტლიკანა სტრიკერებისგან განსხვავებით, ფულისთვის რომ შიშვლდებიან სახალხოდ, ჟაიმე თუმც რისკიან, მაგრამ მაინც გონიერ პიროვნებად მოჩანს.*

*ორი წლის წინ საჩოგბურთო ფინალის მინურულს კარლოს მოიას თასის აღებამდე ცოტა ხნით ადრე კორტებზე მიეჭრა, „კატალუნია მონტმელოს“ საფორმულო ტრასაზე გახურებული რბოლისას ტორეადორის ფორმაში გამოწყობილი შევარდა... მოკლედ, მას თავისი სტილი და ფილოსოფია აქვს, რომლის აღსანერადაც არც დრო გვაქვს და არც ადგილი. ქვემოთ ჯიმის საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ძველ ინტერვიუს გთავაზობთ. თავზეხელაღებული კატალონიელი მაშინ დამწყები ამრევი გახლდათ.*

## ფიგუს ბარსელონა ესპანეთის მეფის ძმაკაცმა ესროლა

**— გულახდილად მითხარი, ეს სკანდალები პოპულარობისთვის გჭირდება თუ ფულის მოსახვეჭად?**

— ძნელ შეკითხვას მაძლევ... გაჩნია, ჩემს საქციელს ვინ როგორ გაიგებს...

**— მე ვცდილობ, სწორად გავიგო. კორტებზე რა მიზნით შეიჭერი?**

— გუშინ ტელევიზორში ჩოგბურთს ვუყურებდი. მერე უეცრად ასეთმა აზრმა გამიელვა თავში — კი მაგრამ, მე აქ რა ჯანდაბას ვაკეთებ, როცა მთელი მსოფლიოს ტელეკამერები ამ ტურნირისკენაა მიმართული?

**— რა გააკეთე ამის შემდეგ?**

— ტაქსი დავიჭირე, ბარსელონაში ჩავედი და TVE-ს (ესპანეთის ტელევიზიის ცენტრალური არხი) თანამშრომლების კუთვნილ ადგილას შევიპარე. მერე კი ზუსტად ერთი წუთით ადრე, ვიდრე კარლოს მოიას თასს გადასცემდნენ, კორტებისკენ გავიქეცი. მაგარი ეპიზოდი იყო — დროშაც თან მქონდა: „ჯიმი ჯამპი თქვენთანაა“.

**— მოიამ რა გითხრა?**

— ხელი ჩამომართვა, მე კი ჩემი სავიზიტო ბარათი მივეცი. მერე დაცვის ბიჭებმა თავაზიანად მთხოვეს ტრიბუნაზე დაბრუნება...

**— და ყოველივე ეს რაში დაგჭირდა?**

— მომისმინე, ეს ჩემი ცხოვრების სტილია და სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია. უკვე გითხარი, რომ გულმა მიგრძნო მოიასთან ყოფნის აუცილებლობა. რაც თავი მახსოვს, სულ ასეთი ვარ, როცა ბავშვობისას კინოში სხვები ბილეთით შედიოდნენ, მე იქაურობა ყოველთვის იერიშით უნდა ამეღო...

**— მოიასთან ვიზიტის მერე ჟურნალისტები შენ შემოგეხვივნენ. ალბათ კარგი შეგრძნება გქონდა...**

— გადასარევი! ჟურნალისტებმა ფოტო და ვიდეოკამერები ჩემკენ მომართეს, ხალხი მხოლოდ მე მიყურებდა. თავი სიზმარში მეგონა.

**— მოიას მონახულების გარდა სხვა რა ჩანაფიქრი გქონდათ?**

— კორტებიდან პირდაპირ „ბარსას“ თამაშზე უნდა წავსულიყავი და თამაშის მსვლელობისას მოედანზე ლაზათიანი გარბენი მომეწყო. წავედი, თუმცა „კამპ ნოუზე“ აღარ გადმომხტარვარ, ვიფიქრე, ერთი დღის მანძილზე საკმარისად გავისარჯე-მეთქი. არადა, „ბარსას“ ფანობა ხმაშეწყობით მღეროდა — ჯიმი ჯამპ, ჩქარა „კამპ ნოუზე“ ჩახტი.

**— ეგ შენ ადრეც მოგიხერხებია, ასე რომ, გუშინ დიდი არაფერი დაგიკარგავს, მოედანზე ჩახტომას ვგულისხმობ...**

— აბელარდოს გაცილებაზე ვიყავი, მაგრამ ფეხბურთელამდე არ მიმიშვეს, სტადიონის დაცვამ დამიჭირა. მერე პრეზიდენტმა გასპარმა პოლიციელებს სთხოვა, გავეთავისუფლებინე და მეორე ტაიმის საყურებლად დავეტოვებინე.

**— ახლა ის მოგვიყევი, მეფესთან როგორ შეაღწიე...**

— მადრიდის სამეფო სასახლეში ხუან კარლოსი ესპანეთის საუკეთესო სპორტსმენებს ჯილდოებს გადასცემდა, დღესაც არ ვიცი, როგორ მოხვდი იქ, თუმცა სპორტსმენებსაც გავესაუბრე, პრინცსაც და, რაც მთავარია, მეფემ მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი. ჩემს ვებ-გვერდზე (WWW.JIMMY JUMP.COM) შეგიძლიათ, ხუან კარლოსთან გადაღებული ფოტოებიც ნახოთ. ესპანეთის მეფე თავის მეგობრად მთვლის.

**— კიდევ აპირებ სპორტული სამყაროს გაკვირვებას?**

— ეს ჯერ დასაწყისია. კვირას ფორმულა 1-ის რბოლა იმართება და ძალიან მინდა, „კატალუნია მონტმელოზე“ შევიჭრე.

**— შეიშალე?! ბოლოს და ბოლოს, ფორმულა 1-ია. სხვა თუ არაფერი... სიკვდილს ეთამაშები?**

— არა უშავს, მშვენივრად იცი, რომ სახელ-დიდება ურისკოდ არ მოვა...

**— ჯიმი ჯამპის ცხოვრებისეული დევიზიც გავიგოთ...**

— მოძრაობა, პოპულარობა, რისკი და მიზანდასახულობა. ჩემს სკანდალურ საქციელში უაზროს ვერაფერს ვხედავ, ჩემი ფილოსოფია მაქვს, რასაც შეიძლება ზოგისთვის უცნაური, მაგრამ მაინც ლამაზად გამოვხატავ...

**ესპანური** „ბარსელონა“ ახალი სეზონისთვის როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად ძლიერდება. იცით, რომ კატალონიელებმა უკვე გადაიბირეს ბელეტი, ჟიული, ლარსონი და დეკო. ახლა კი „ბარსას“ შეფებმა ტურინის „იუვენტუსის“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს, ჯანლუკა ძამბროტას დაადგეს თვალი — 26 წლის იტალიელმა დაცვის მარცხენა ფლანგი უნდა გააძლიეროს. თუ ტრანსფერი არ შედგა, მაშინ კატალონიელები არსენალელი ეშლი კოულის, პორტუელი ნუნუ ვალენტეს, ანაც უდინეზელი მარეკ იანკულოვსკის გადაყვანაზე იმუშავებენ.

**იტალიურმა** „მილანმა“ გუნდიდან მესამე ფეხბურთელი გაუშვა. იცით, დანიელმა მცველმა მარტინ ლაურსენმა ბირმინგემის „ასტონ ვილას“ მიაშურა, ხოლო ვეტერან არგენტინელ ნახევარმცველ ფერნანდო რედონდოს კი კონტრაქტი დაუმთავრდა. გუშინ კი მათ ახალგაზრდა თავდამსხმელი მარკო ბორიელოც შეუერთდა. ბორიელო „როსონერიმ“ ერთი წლით სერია A-ს დებიუტანტ „მესინაში“ გაანათხოვრა.

**ჰოლანდიის** ნაკრების მცველი მიხაელ რაიციგერი „მიდლსბროში“ გადავიდა. ინგლისელებს „ბარსელონასთვის“ ცენტიც არ გადაუხდიათ, რადგან რაიციგერს კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი წლეულს დაუმთავრდა და „ბოროსაც“ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. მიხაელ რაიციგერი „მიდლსბროში“ სულ ცოტა, ორი წელი ითამაშებს.

**პორტუგალიის** ნაკრებისა და ლისაბონის „ბენფიკას“ ფორვარდ ნუნუ გომეშით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. 27 წლის თავდამსხმელს დორტმუნდის „ბორუსიას“ ვგრდა, ესპანურმა „ბეტისმა“ და „ვალენსიამაც“ დაადგეს თვალი.

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსი“ კარლოს ბიანკიმ დატოვა და კლუბმაც ახალი მწვრთნელი უმალ, 24 საათში იპოვა — მიგელ ანხელ ბრინდიზი. მას აქამდე ბობოლა კლუბი არასდროს გაუწვრთნია, მუშაობდა გვატემალაში და ეკვადორში. ბრინდიზი წარსულში „ბოკას“ ფეხბურთელი გახლდათ და ჯერჯერობით თავს მხოლოდ იმითღა მოიწონებს, რომ 1981 წელს დიეგო მარადონას თანაგუნდელი იყო.

**იტალიური** „რომას“ ბერძენ მცველ ტრაიანოს დელასის აგენტის თქმით, ევრო 2004-ის დამთავრებისთანავე მისმა კლიენტმა 10 კლუბისგან მიიღო სარფიანი წინადადება. მათ შორის არიან „პორტუ“, „ევერტონი“, „ტოტენჰემი“ და რამდენიმე იტალიური გუნდი. მიუხედავად ყველაფრისა, დელასს რომში დარჩენა სურს.

**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი ედგარ დავიდსი მილანის „ინტერში“ გადავიდა. მხარეებმა სამწლიან კონტრაქტზე მოილაპარაკეს, რომლის თანახმადაც დავიდსი სეზონში 3,5 მილიონ ევროს მიიღებს. „აიაქსის“, „მილანის“, „იუვენტუსის“ და „ბარსელონას“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი ამ ზაფხულს „ინტერის“ უკვე მეოთხე შენაძენია ჯუზეპე ფავალის, ხუან სებასტიან ვერონის და ესტებან კამბიასოს შემდეგ. წუხელ, გვიან ღამით მილანში, „ბოკა ხუნიორსის“ მცველი ნიკოლას ბურდისოც უნდა ჩასულიყო.

**ესპანური** „ვალენსიას“ ბომბარდირ მისტას კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება არ სურს. ფეხბურთელს ხელფასი არ აკმაყოფილებს და თუ მხარეები დროულად ვერ მოილაპარაკებენ, ვალენსიელებს მისტას ტრანსფერზე დაყენება მოუწევთ. წინაალმდეგ შემთხვევაში, მისტა თავისუფალი აგენტი გახდება და „ვალენსიაც“ მის სანაცვლოდ ვერაფერს მიიღებს.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ვარსკვლავი მაიკლ ოუენი მალე კლუბთან ახალ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ოუენის თქმით, მასზე სტივენ ჯერარდის საქციელმა იმოქმედა. იცით, ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინ, „ჩელსის“ მიერ შეთავაზებულ დიდ ჯამაგირზე უარი თქვა და „ლივერპულის“ ერთგული დარჩა. ოუენი კვირაში 80 ათას ევროს ჩაიჯიბავს.

**ესპანური** „რეალის“ ყოფილი კაპიტანი ფერნანდო იერო შესაძლოა, ევროპაში დაბრუნდეს. ყატარში მოთამაშე მცველს ისედაც ვეტერანი ვარსკვლავებით გაძეძგილმა „ბოლტონმა“ დაადგა თვალი. მეორე ინგლისური კლუბი „ფულემი“ კი ყატარში კიდევ ერთ ვეტერანს, არგენტინელ ფორვარდ გაბრიელ ბატისტუტას უტრიალებს.



ფრანსისკო კორნეხო

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# დიეგო

**ორმოცდაოთხის ვარ, მაგრამ ამ ხანში სამოცდაათი წელი ჩავტიე. ცხოვრებაში ყველაფერი ვნახე, ვილა ფიორიტოდან გამოვედი და მსოფლიოს მწვერვალზე ავმაღლდი, ხოლო, როდესაც მწვერვალზე შევდექი, ცხოვრებამ სამომავლო საკეთებელი მომთხოვა, მე კი მიმოვიხედე და ვერავინ ვნახე ისეთი, ვინც მეტყოდა, როგორ უნდა მეცხოვრა.**



დიეგო არმანდო მარადონა 1960 წლის 30 ოქტომბერს ბუენოს აირესის გარეუბანში, ლანუსის კლინიკაში დაიბადა და, როგორც დედამისი, დონია დალმა ამბობს, მშობიარობას იოლად ჩაუვლია — დიეგო მალე გაჩენილა. დონია დალმა იგონებს, რომ იმ დღეს თავს ჩინებულად გრძნობდა, საღამოს კი მუცელი ატკივდა, თუმცა ისეთიც არაფერი... სხვა შვილები უფრო ძნელად გასაჩენები ყოფილან.

მამას, დონ დიეგო უფროსს, იგივე ჩიტოროს, ვაჟის გაჩენა ძალიან გახარებია, მაგრამ სიხარული დაუმალავს, ღირსეულად გაუვლია-გამოუვლია, ვითომც აქ არაფერიაო. ჩიტორო წისქვილში, „ტრიტუმოლში“ მუშაობდა, ღარიბი კაცი იყო.

მერე დაიწყო ჩვეულებრივი ბავშვობა. ოჯახის წევრები გამორჩევით იხსენებენ დიეგოს ზუზუნს და შიშინს. ნუ, ხან თვითმფრინავი იყო, ხან მანქანა, ხან ვერტმფრენი... მოუსვენარი ბავშვი მხოლოდ ჭამის დროს ჩუმდებოდა, მერე კი თავიდან იწყებოდა „ბრრ“ და „ღრრ“.

შვიდი წლის დღეობაზე კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა — უფროსმა ბიძაშვილმა ბეტომ ნამდვილი ბურთი აჩუქა.

დაზამთრდა. დიეგოს ის ბურთი, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ გაუცვეთია, იშვიათად თუ გააგორებდა ოთახში დებთან ერთად, ძირითადად „ბრრ“-ს და „ღრრ“-ს აგრძელებდა, მაგრამ მერე გამოზაფხულდა და ასეთი ამბავი მოხდა: საღამოს შინ დაბრუნებული ჩიტორო ხედავს, რომ ბავშვი ეზოში დამდგარა და ბურთს ძველი სამზარეულოს კედელს ურტყამს. მიარტყამს — ბურთი სადღაც გადავარდება, მიარტყამს — ისევ სადღაც გადავარდება. ტირილამდეა საქმე მისული.

მამამ, როგორც ნაღდმა არგენტინელმა და ბუენოსაირესელმა, შვილს, ცხადია, თავზე ხელი გადაუსვა და აჩვენა, როგორ უნდა ბურთისთვის ფეხის სწორად დარტყმა. ეს იყო ჭეშმარიტების მომენტი!

ამის შემდეგ, პატარა დიეგომ და ბეტოს ნაჩუქარმა ბურთმა ეზოს გარეთ, მინდორზე გადაინაცვლეს. მინდორს, გთხოვთ, საფეხბურთოს ნუ წარმოიდგენთ, უბანში ვაკე ადგილზეა ლაპარაკი. მოკლედ, დიეგო მოხვდა იქ, სადაც ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ და სწორედ იქ მოინათლა ბიჭი.

ოღონდ თავიდან აქაც იყო პრობლემა: დიდი ბიჭების დაწევა ცოტა ძნელი და დასაბოლმი საქმე გამოდგა. სიბრაზისგან ხანდახან გვერდით გაფრენილ ბურთს მეკარესავით გადახტომით ბღუჯავდა — მე თქვენ გეტყვით და მოქნილი არ იყო.

მაგრამ გადიოდა დრო და დიეგო არმანდო ყოჩაღდებოდა, დიდებთანაც ტოლ-სწორად თამაშობდა და, კაცმა რომ თქვას, მეტს არც არაფერს აკეთებდა. ხანდახან რამე მიზეზით დედა თუ არ გაუშვებდა იმ ველ-მინდორზე, წიოდა და კიოდა, სანამ დონია დალმა იძულებული არ გახდებოდა გაეშვა.

დიეგო იგონებს, რომ ხანდახან ზედიზედ სამ თამაშს ატარებდნენ ბიჭები და იქ ნაღდი ბრძოლები იყო. მერედა თითოეულ ბიჭს ხომ ყოველი გოლი, ყოველი ეპიზოდი ახსოვდა და თამაშებს ზედ გარჩევა მოჰყვებოდა ხოლმე — შვიდი წლის დიეგოს საყვარელი მოძრაობები, ცრუმოძრაობები და პასები უყალიბდებოდა.

**მე ყოველთვის ჩემი რევოლუცია მაქვს და ეს რევოლუცია პატარა, უბრალო ხალხის დასაცავადაა მიმართული. მე ეს ხალხი მინდა დავიცვა არა როგორც ღმერთმა, რომელიც შორსაა, არამედ როგორც ჩვეულებრივად ფეხბურთელმა ჯაცმა.**

სკოლას, რომელშიც მშობლებმა დიეგო მიიყვანეს, „ესკალადა სან მარტინი“ ერქვა და, ბუნებრივია, ბავშვი ხელად აიყვანეს იქაურ უმცროსკლასელთა გუნდში. და იქ იყო ერთი ბიჭი. ორი წლით უფროსი, რომელსაც ერქვა გოიო კარისო და რომელიც იმით იყო განსაკუთრებული, რომ „არგენტინის ხუნიორსში“ ნაცნობი ყავდა ერთხელ. გოიო კარისო ბატარა დიეგოს ეს ეწვია და მისი ბავშვის თავზე სამი ფეხბურთელის სურათი დაინახა გაკრული. ესენი იყვნენ ბოჩინი, პელე და ბეკენბაუერი.

— ესენი შენი გმირები არიან? დიეგომ თავი დაუქნია.

— და რატომ არ გაქვს დი სტეფანოს, ფონტენის და კოპას სურათები?

პატარა მარადონას ეს სახელები ადრე არასდროს გაეგო, მაგრამ ეგ არაფერი... მეორე დღეს ბეკენბაუერის ფოტოს გვერდით დი სტეფანოს პლაკატი გამოჩნდა.

**ფიდელ ჯასტროს ყველაფერს აბრალებენ, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, რომელიც მის სამშობლოს მასავით დაიცავდა. ჩვენთან, არგენტინაში ისინი, ვინც 30 ათასი ჯაცის სიკვდილში არიან დამნაშავენი დღესაც თავისუფლად დადიან ზევით-ქვევით.**

გოიო კარისომ დიეგო „არხენტინოს ხუნიორსის“ სკაუტს ან თუ გნებავთ სელექციონერს, ფრანსისკო კორნეხოს გააცნო. კორნეხო კარგი თვალით დაჯილდოვებული ახალგაზრდა გახლდათ. მან „არხენტინოს ხუნიორსის“ ვარჯიშებზე გადაგდებული ბურთების მისატანად შეკრებილ ბავშვებს უყურა-უყურა და გადაწყვიტა გუნდი გაეკეთებინა. ბიჭუნებს ფორმები დაურიგეს და დიდ (!) მოედანზე შეუშვეს. დიეგოც ამ გუნდში მოხვდა. გუნდს „ლოს სებოლიტას“ დაარქვეს.

„მოედანზე მანქანას ვგავდით, ხანდახან 20:0-საც კი ვიგებდით და „რივერ პლეიტის“ ცნობილ იუნიორებთან თამაშზე დავიწყეთ ოცნება. ისინი არგენტინის ჩემპიონები იყვნენ“ — იგონებს დიეგო.

ბოლოს და ბოლოს, ეს მატჩი შედგა. „ლოს სებოლიტასმა“ 7:1 მოიგო. ხუთი გოლი დიეგო მარადონამ გაიტანა.

**პაპუნა კედია**

(ბაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში“)

# ინგლისი. პრემიერლიგა 2004-2005

## 2004 წელი

### 1-ლი ტური: 14-15 აგვისტო
ტოტენჰემი : ლივერპული
ასტონ ვილა : საუთჰემპტონი
ბლექბერნი : ვესტ ბრომვიჩი
ბოლტონი : ჩარლტონი
სიტი : ფულემი
ნორვიჩი : კრ. პალასი
პორტსმუთი : ბირმინგემი
მიდლსბრო : ნიუკასლი
ევერტონი : არსენალი
ჩელსი : მანჩესტერი

### მე-2 ტური: 21-22 აგვისტო
საუთჰემპტონი : ბლექბერნი
ბირმინგემი : ჩელსი
ჩარლტონი : პორტსმუთი
კრ. პალასი : ევერტონი
ფულემი : ბოლტონი
ლივერპული : სიტი
მანჩესტერი : ნორვიჩი
ნიუკასლი : ტოტენჰემი
ვესტ ბრომვიჩი : ასტონ ვილა
არსენალი : მიდლსბრო

### მე-3 ტური: 24-25 აგვისტო
არსენალი : ბლექბერნი
ბირმინგემი : სიტი
ჩარლტონი : ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი : ტოტენჰემი
კრ. პალასი : ჩელსი
ფულემი : მიდლსბრო
საუთჰემპტონი : ბოლტონი
ნიუკასლი : ნორვიჩი
მანჩესტერი : ევერტონი
ლივერპული : პორტსმუთი

### მე-4 ტური: 28-29-30 აგვისტო
ბლექბერნი : მანჩესტერი
ასტონ ვილა : ნიუკასლი
ტოტენჰემი : ბირმინგემი
ჩელსი : საუთჰემპტონი
ევერტონი : ვესტ ბრომვიჩი
სიტი : ჩარლტონი
მიდლსბრო : კრ. პალასი
ნორვიჩი : არსენალი
ბოლტონი : ლივერპული
პორტსმუთი : ფულემი

### მე-5 ტური: 11-12-13 სექტემბერი
ასტონ ვილა : ჩელსი
ბოლტონი : მანჩესტერი
ფულემი : არსენალი
ლივერპული : ვესტ ბრომვიჩი
სიტი : ევერტონი
მიდლსბრო : ბირმინგემი
ნიუკასლი : ბლექბერნი
პორტსმუთი : კრ. პალასი
ტოტენჰემი : ნორვიჩი
ჩარლტონი : საუთჰემპტონი

### მე-6 ტური: 18-19-20 სექტემბერი
არსენალი : ბოლტონი
ვესტ ბრომვიჩი : ფულემი
ბირმინგემი : ჩარლტონი
ბლექბერნი : პორტსმუთი
კრ. პალასი : სიტი
ევერტონი : მიდლსბრო
ნორვიჩი : ასტონ ვილა
საუთჰემპტონი : ნიუკასლი
ჩარლტონი : ტოტენჰემი
მანჩესტერი : ლივერპული

### მე-7 ტური: 25-26-27 სექტემბერი
მიდლსბრო : ჩელსი
ასტონ ვილა : კრ. პალასი
ტოტენჰემი : მანჩესტერი
ბოლტონი : ბირმინგემი
ფულემი : საუთჰემპტონი
ლივერპული : ნორვიჩი
სიტი : არსენალი
ნიუკასლი : ვესტ ბრომვიჩი
პორტსმუთი : ევერტონი
ჩარლტონი : ბლექბერნი

### მე-8 ტური: 2-3-4 ოქტომბერი
საუთჰემპტონი : სიტი
არსენალი : ჩარლტონი
ბირმინგემი : ნიუკასლი
ბლექბერნი : ასტონ ვილა
ევერტონი : ტოტენჰემი
მანჩესტერი : მიდლსბრო
ნორვიჩი : პორტსმუთი
ვესტ ბრომვიჩი : ბოლტონი
ჩელსი : ლივერპული
კრ. პალასი : ფულემი

### მე-9 ტური: 16-17-18 ოქტომბერი
ბირმინგემი : მანჩესტერი
არსენალი : ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი : ნორვიჩი
ბლექბერნი : მიდლსბრო
ბოლტონი : კრ. პალასი
ევერტონი : საუთჰემპტონი
ფულემი : ლივერპული
სიტი : ჩელსი
ჩარლტონი : ნიუკასლი
პორტსმუთი : ტოტენჰემი

### მე-10 ტური: 23-24 ოქტომბერი
ნორვიჩი : ევერტონი
ასტონ ვილა : ფულემი
ტოტენჰემი : ბოლტონი
ჩელსი : ბლექბერნი
კრ. პალასი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : პორტსმუთი
ნიუკასლი : სიტი
ლივერპული : ჩარლტონი
საუთჰემპტონი : ბირმინგემი
მანჩესტერი : არსენალი

### მე-11 ტური: 30-31 ოქტომბერი
ბირმინგემი : კრ. პალასი
არსენალი : საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი : ჩელსი
ჩარლტონი : მიდლსბრო
ევერტონი : ასტონ ვილა
ფულემი : ტოტენჰემი
პორტსმუთი : მანჩესტერი
ბლექბერნი : ლივერპული
ბოლტონი : ნიუკასლი
სიტი : ნორვიჩი

### მე-12 ტური: 6-7 ნოემბერი
ასტონ ვილა : პორტსმუთი
ტოტენჰემი : ჩარლტონი
ჩელსი : ევერტონი
კრ. პალასი : არსენალი
ლივერპული : ბირმინგემი
ნიუკასლი : ფულემი
ნორვიჩი : ბლექბერნი
საუთჰემპტონი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : ბოლტონი
მანჩესტერი : სიტი

### მე-13 ტური: 13-14 ნოემბერი
ბირმინგემი : ევერტონი
ბოლტონი : ასტონ ვილა
ჩარლტონი : ნორვიჩი
ფულემი : ჩელსი
ლივერპული : კრ. პალასი
სიტი : ბლექბერნი
საუთჰემპტონი : პორტსმუთი
ტოტენჰემი : არსენალი
ვესტ ბრომვიჩი : მიდლსბრო
ნიუკასლი : მანჩესტერი

### მე-14 ტური: 20-21-22 ნოემბერი
მანჩესტერი : ჩარლტონი
არსენალი : ვესტ ბრომვიჩი
პორტსმუთი : სიტი
ჩელსი : ბოლტონი
კრ. პალასი : ნიუკასლი
ევერტონი : ფულემი
მიდლსბრო : ლივერპული
ნორვიჩი : საუთჰემპტონი
ბლექბერნი : ბირმინგემი
ასტონ ვილა : ტოტენჰემი

### მე-15 ტური: 27-28 ნოემბერი
ფულემი : ბლექბერნი
ბირმინგემი : ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი : მანჩესტერი
ბოლტონი : პორტსმუთი
ჩარლტონი : ჩელსი
სიტი : ასტონ ვილა
საუთჰემპტონი : კრ. პალასი
ტოტენჰემი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ევერტონი
ლივერპული : არსენალი

### მე-16 ტური: 4-5-6 დეკემბერი
ჩელსი : ნიუკასლი
არსენალი : ბირმინგემი
პორტსმუთი : ვესტ ბრომვიჩი
ასტონ ვილა : ლივერპული
ევერტონი : ბოლტონი
მანჩესტერი : საუთჰემპტონი
ნორვიჩი : ფულემი
ბლექბერნი : ტოტენჰემი
კრ. პალასი : ჩარლტონი
მიდლსბრო : სიტი

**არსენ ვენგერს და მის „არსენალს“ პრემიერლიგის ჩემპიონობის შენარჩუნება გაუჭირდებათ**

### მე-17 ტური: 11-12-13 დეკემბერი
ევერტონი : ლივერპული
ვესტ ბრომვიჩი : ჩარლტონი
კრ. პალასი : ბლექბერნი
სიტი : ტოტენჰემი
ნიუკასლი : პორტსმუთი
ნორვიჩი : ბოლტონი
საუთჰემპტონი : მიდლსბრო
ასტონ ვილა : ბირმინგემი
არსენალი : ჩელსი
ფულემი : მანჩესტერი

### მე-18 ტური: 18-19-20 დეკემბერი
ლივერპული : ნიუკასლი
ბირმინგემი : ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი : საუთჰემპტონი
ბლექბერნი : ევერტონი
ბოლტონი : სიტი
ჩელსი : ნორვიჩი
მანჩესტერი : კრ. პალასი
მიდლსბრო : ასტონ ვილა
პორტსმუთი : არსენალი
ჩარლტონი : ფულემი

### მე-19 ტური: 26 დეკემბერი
ჩელსი : ასტონ ვილა
არსენალი : ფულემი
ბლექბერნი : ნიუკასლი
კრ. პალასი : პორტსმუთი
ევერტონი : სიტი
მანჩესტერი : ბოლტონი
ნორვიჩი : ტოტენჰემი
საუთჰემპტონი : ჩარლტონი
ბირმინგემი : მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი : ლივერპული

### მე-20 ტური: 28-29 დეკემბერი
ტოტენჰემი : კრ. პალასი
ბოლტონი : ბლექბერნი
ჩარლტონი : ევერტონი
ფულემი : ბირმინგემი
სიტი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : ნორვიჩი
პორტსმუთი : ჩელსი
ლივერპული : საუთჰემპტონი
ასტონ ვილა : მანჩესტერი
ნიუკასლი : არსენალი

## 2005 წელი

### 21-ე ტური: 1 იანვარი
ასტონ ვილა : ბლექბერნი
ტოტენჰემი : ევერტონი
ბოლტონი : ვესტ ბრომვიჩი
ჩარლტონი : არსენალი
ფულემი : კრ. პალასი
ლივერპული : ჩელსი
სიტი : საუთჰემპტონი
მიდლსბრო : მანჩესტერი
ნიუკასლი : ბირმინგემი
პორტსმუთი : ნორვიჩი

### 22-ე ტური: 3 იანვარი
არსენალი : სიტი
ვესტ ბრომვიჩი : ნიუკასლი
ბირმინგემი : ბოლტონი
ბლექბერნი : ჩარლტონი
ჩელსი : მიდლსბრო
კრ. პალასი : ასტონ ვილა
ევერტონი : პორტსმუთი
მანჩესტერი : ტოტენჰემი
ნორვიჩი : ლივერპული
საუთჰემპტონი : ფულემი

### 23-ე ტური: 15 იანვარი
ასტონ ვილა : ნორვიჩი
ტოტენჰემი : ჩელსი
ბოლტონი : არსენალი
ჩარლტონი : ბირმინგემი
ფულემი : ვესტ ბრომვიჩი
ლივერპული : მანჩესტერი
სიტი : კრ. პალასი
მიდლსბრო : ევერტონი
ნიუკასლი : საუთჰემპტონი
პორტსმუთი : ბლექბერნი

### 24-ე ტური: 22 იანვარი
არსენალი : ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი : სიტი
ბირმინგემი : ფულემი
ბლექბერნი : ბოლტონი
ჩელსი : პორტსმუთი
კრ. პალასი : ტოტენჰემი
ევერტონი : ჩარლტონი
მანჩესტერი : ასტონ ვილა
ნორვიჩი : მიდლსბრო
საუთჰემპტონი : ლივერპული

### 25-ე ტური: 1-2 თებერვალი
არსენალი : მანჩესტერი
ბირმინგემი : საუთჰემპტონი
ბოლტონი : ტოტენჰემი
ჩარლტონი : ლივერპული
პორტსმუთი : მიდლსბრო
ვესტ ბრომვიჩი : კრ. პალასი
ბლექბერნი : ჩელსი
ევერტონი : ნორვიჩი
ფულემი : ასტონ ვილა
სიტი : ნიუკასლი

### 26-ე ტური: 5 თებერვალი
ასტონ ვილა : არსენალი
ტოტენჰემი : პორტსმუთი
ჩელსი : სიტი
კრ. პალასი : ბოლტონი
ლივერპული : ფულემი
მანჩესტერი : ბირმინგემი
მიდლსბრო : ბლექბერნი
ნიუკასლი : ჩარლტონი
ნორვიჩი : ვესტ ბრომვიჩი
საუთჰემპტონი : ევერტონი

### 27-ე ტური: 12 თებერვალი
არსენალი : კრ. პალასი
ვესტ ბრომვიჩი : საუთჰემპტონი
ბირმინგემი : ლივერპული
ბლექბერნი : ნორვიჩი
ბოლტონი : მიდლსბრო
ჩარლტონი : ტოტენჰემი
ევერტონი : ჩელსი
ფულემი : ნიუკასლი
სიტი : მანჩესტერი
პორტსმუთი : ასტონ ვილა

### 28-ე ტური: 26 თებერვალი
ასტონ ვილა : ევერტონი
ტოტენჰემი : ფულემი
ჩელსი : ვესტ ბრომვიჩი
კრ. პალასი : ბირმინგემი
ლივერპული : ბლექბერნი
მანჩესტერი : პორტსმუთი
მიდლსბრო : ჩარლტონი
ნიუკასლი : ბოლტონი
ნორვიჩი : სიტი
საუთჰემპტონი : არსენალი

### 29-ე ტური: 5 მარტი
არსენალი : პორტსმუთი
ვესტ ბრომვიჩი : ბირმინგემი
ასტონ ვილა : მიდლსბრო
კრ. პალასი : მანჩესტერი
ევერტონი : ბლექბერნი
ფულემი : ჩარლტონი
სიტი : ბოლტონი
ნიუკასლი : ლივერპული
ნორვიჩი : ჩელსი
საუთჰემპტონი : ტოტენჰემი

### 30-ე ტური: 19 მარტი
ბირმინგემი : ასტონ ვილა
ტოტენჰემი : სიტი
ბლექბერნი : არსენალი
ბოლტონი : ნორვიჩი
ჩარლტონი : ვესტ ბრომვიჩი
ჩელსი : კრ. პალასი
ლივერპული : ევერტონი
მანჩესტერი : ფულემი
მიდლსბრო : საუთჰემპტონი
პორტსმუთი : ნიუკასლი

### 31-ე ტური: 2 აპრილი
არსენალი : ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი : ევერტონი
ბირმინგემი : ტოტენჰემი
ჩარლტონი : სიტი
კრ. პალასი : მიდლსბრო
ფულემი : პორტსმუთი
ლივერპული : ბოლტონი
მანჩესტერი : ბლექბერნი
ნიუკასლი : ასტონ ვილა
საუთჰემპტონი : ჩელსი

### 32-ე ტური: 9 აპრილი
ასტონ ვილა : ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი : ნიუკასლი
ბლექბერნი : საუთჰემპტონი
ბოლტონი : ფულემი
ჩელსი : ბირმინგემი
ევერტონი : კრ. პალასი
სიტი : ლივერპული
მიდლსბრო : არსენალი
ნორვიჩი : მანჩესტერი
პორტსმუთი : ჩარლტონი

### 33-ე ტური: 16 აპრილი
არსენალი : ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი : ბლექბერნი
ბირმინგემი : პორტსმუთი
ჩარლტონი : ბოლტონი
კრ. პალასი : ნორვიჩი
ფულემი : სიტი
ლივერპული : ტოტენჰემი
მანჩესტერი : ჩელსი
ნიუკასლი : მიდლსბრო
საუთჰემპტონი : ასტონ ვილა

### 34-ე ტური: 19-20 აპრილი
ბოლტონი : საუთჰემპტონი
მიდლსბრო : ფულემი
ნორვიჩი : ნიუკასლი
პორტსმუთი : ლივერპული
ასტონ ვილა : ჩარლტონი
ბლექბერნი : კრ. პალასი
ჩელსი : არსენალი
ევერტონი : მანჩესტერი
სიტი : ბირმინგემი
ტოტენჰემი : ვესტ ბრომვიჩი

### 35-ე ტური: 23 აპრილი
არსენალი : ტოტენჰემი
პორტსმუთი : საუთჰემპტონი
ასტონ ვილა : ბოლტონი
ბლექბერნი : სიტი
ჩელსი : ფულემი
კრ. პალასი : ლივერპული
ევერტონი : ბირმინგემი
მანჩესტერი : ნიუკასლი
მიდლსბრო : ვესტ ბრომვიჩი
ნორვიჩი : ჩარლტონი

### 36-ე ტური: 30 აპრილი
ბირმინგემი : ბლექბერნი
ვესტ ბრომვიჩი : არსენალი
ბოლტონი : ჩელსი
ჩარლტონი : მანჩესტერი
ფულემი : ევერტონი
ლივერპული : მიდლსბრო
სიტი : პორტსმუთი
ნიუკასლი : კრ. პალასი
საუთჰემპტონი : ნორვიჩი
ტოტენჰემი : ასტონ ვილა

### 37-ე ტური: 7 მაისი
არსენალი : ლივერპული
პორტსმუთი : ბოლტონი
ასტონ ვილა : სიტი
ბლექბერნი : ფულემი
ჩელსი : ჩარლტონი
კრ. პალასი : საუთჰემპტონი
ევერტონი : ნიუკასლი
მანჩესტერი : ვესტ ბრომვიჩი
მიდლსბრო : ტოტენჰემი
ნორვიჩი : ბირმინგემი

### 38-ე ტური: 14 მაისი
ბირმინგემი : არსენალი
ვესტ ბრომვიჩი : პორტსმუთი
ბოლტონი : ევერტონი
ჩარლტონი : კრ. პალასი
ფულემი : ნორვიჩი
ლივერპული : ასტონ ვილა
სიტი : მიდლსბრო
ნიუკასლი : ჩელსი
საუთჰემპტონი : მანჩესტერი
ტოტენჰემი : ბლექბერნი

# სარბიელი: კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. X ტური** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 151 | აიკ-კალმარი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 152 | მალმიო-სუნდსვალი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,2 | 1,2 | 3 |
| 21.00 | 153 | იორგრიტე-ლანდსკრონა | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.00 | 154 | ჰალმსტადი-იურგორდენი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 155 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 21.00 | 156 | იორებრო-ვიოტებორგი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 21.00 | 157 | ტრელებორგი-ელფსბორგი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 017 | ფრიოლუნდა-ჰეკენი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 033 | ტპ 47-ტამპერე | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. IX ტური** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 23.15 | 044 | ფილკირი-აკრანესი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 23.15 | 045 | ვიკინგური-ვრინდავიკი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 23.15 | 046 | კეფლავიკი-ფრამი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 061 | სპარტაკი-ყუბანი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 16.00 | 062 | ამკარი-მოსკოვი | 2,25 | 2,8 | 3,2 | 1,24 | 1,32 | 1,49 |
| 16.00 | 063 | კრილია-როსტოვი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 16.00 | 064 | რუბინი-ცსკა | 3,3 | 2,9 | 2,15 | 1,54 | 1,3 | 1,23 |
| 16.00 | 065 | შინიკი-როტორი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 16.00 | 066 | დინამო-ლოკომოტივი | 3,4 | 2,9 | 2,1 | 1,56 | 1,29 | 1,21 |
| 16.00 | 067 | ტორპედო-საგურნი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 16.00 | 068 | სენიტი-ალანია | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XIII ტური** | | | | | | |
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 03.30 | 085 | ბოტაფოგო-ინტერნასიონალი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 03.30 | 086 | პალმეირასი-ყუვენტუსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 03.30 | 087 | პარანა-ატლეტიკო პრ | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 03.30 | 088 | პაისანდუ-სან კაეტანო | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 03.30 | 089 | კრუზეირო-გუარანი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 04.45 | 090 | პონტე პრეტა-სანტოსი | 2,1 | 3,3 | 2,9 | 1,28 | 1,21 | 1,54 |
| 04.45 | 091 | კურიტიბა-კორინთიანსი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,21 | 1,21 | 2,3 |
| 04.45 | 092 | კრიციუმა-ფლამენგო | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **უკრაინა. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 117 | დინამო-შახტარი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ ჯროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელეკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%


## COPA AMERICA PERU 2004 ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 003 | მექსიკა-ურუგვაი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 04.45 | 004 | არგენტინა-ეკვადორი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 005 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 04.45 | 006 | ბრაზილია-ჩილე | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივლისი** | | | | | | |
| 5003 | | მექსიკა-ურუგვაი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5004 | | არგენტინა-ეკვადორი | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| | | **8 ივლისი** | | | | | | |
| 5005 | | კოსტა რიკა-პარაგვაი | 4,6 | 2,05 | 2,3 | 1,41 | 1,53 | 1,08 |
| 5006 | | ბრაზილია-ჩილე | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **7 ივლისი** | | |
| 5303 | მექსიკა-ურუგვაი | 1,6 | 2,0 |
| 5304 | არგენტინა-ეკვადორი | 1,7 | 1,9 |
| | **8 ივლისი** | | |
| 5305 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 1,6 | 2,0 |
| 5306 | ბრაზილია-ჩილე | 1,7 | 1,9 |
| | **9 ივლისი** | | |
| 5307 | კოლუმბია-ბოლივია | 1,6 | 2,0 |
| 5308 | პერუ-ვენესუელა | 1,65 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **7 ივლისი** | | | | | | | |
| 5103 | მექსიკა-ურუგვაი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5104 | არგენტინა-ეკვადორი | 1,8 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 5,3 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | | **8 ივლისი** | | | | | | | |
| 5105 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5106 | ბრაზილია-ჩილე | 1,9 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი ზაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **7 ივლისი** | | |
| 5403 | მექსიკა-ურუგვაი | 1,8 | 2,0 |
| 5404 | არგენტინა-ეკვადორი | 1,3 | 3,4 |
| | **8 ივლისი** | | |
| 5405 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 2,3 | 1,65 |
| 5406 | ბრაზილია-ჩილე | 1,3 | 3,4 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **7 ივლისი** | | |
| 5203 | მექსიკა-ურუგვაი | 1,6 | 2,0 |
| 5204 | არგენტინა-ეკვადორი | 1,7 | 1,9 |
| | **8 ივლისი** | | |
| 5205 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 1,6 | 2,0 |
| 5206 | ბრაზილია-ჩილე | 1,65 | 1,95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **7 ივლისი** | | | |
| 5503 | მექსიკა-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | არგენტინა-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **8 ივლისი** | | | |
| 5505 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ბრაზილია-ჩილე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# უცნაურთა საცნაური: არაფერი გაგიკვირდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ესპანეთში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სათამაშოდ გაფრინდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. ნბა-ში დღეს ერთი თაობის ორი ქართველი თამაშობს, მაგრამ ევროსარბიელზე მიღწეული შედეგებით სწორედ ის თაობა დაიკვეხნის, დღეს, ალიონზე სარაგოსას რომ გაემგზავრა. მარკოიშვილი, სანიკიძე, საყვარელიძე, ცინცაძე, გამყრელიძე – ამ თაობამ ითამაშა კადეტთა ევროჩემპიონატის ფინალი შარშანწინ და ახლაც, ჭაბუკთა ასაკში რომ გადააბიჯა, ფინალურ სტადიამდე მივიდა. მეტოქენი კი კონტინენტზე უძლიერესნი არიან – სერბეთი, იტალია, რუსეთი, საფრანგეთი და ლატვია...**

**გვესაუბრება ჭაბუკთა მთავარი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი...**



— ესპანეთში იდეალურად მომზადებულნი არ მივემგზავრებით და დაშავებულებიც გვყავს, მაგრამ მე არ ვარ იმის კაცი, ამაზე ვიწუწუნო — მივდივართ და არაფრის გვეშინია.

**— წუწუნი იქით იყოს და დაშავებული ბევრი გყავთ?**

— ნიკა ჩხატარაშვილი არც შესარჩევ ტურნირზე ყოფილა, მაგრამ იმედი გვქონდა, ამდენ ხანში გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ... შემადგენლობიდან ამოვარდა დავით გვიმრაძეც, რომელმაც დუბლების ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მძიმე ტრავმა მიიღო. მათი არყოფნა სოლიდური დანაკლისია.

**— ესპანეთში ვინც მოდის, მათი მზადყოფნის საქმე როგორაა?**

— ერთი შეხედვით, ყველა მწყობრშია, დარბიან და თამაშობენ, თუმც ჩვენი გუნდის ხერხემალს — სანიკიძეს, მარკოიშვილსა და ცინცაძეს ფეხები აწუხებთ. მარკოიშვილის ამბავი გეცოდინებათ, ამ სეზონში სულ ტრავმიანობდა და ბოლოს იტალიურ კემპზეც კოჭი იტკინა. იგივე პრობლემა აქვს გიორგი ცინცაძესაც, რომელმაც იტალიურსავე კემპზე ამოიბრუნა კოჭი. დღეს ისინი, ასე თუ ისე, თამაშობენ, მაგრამ ფინალურ ეტაპზე ბოლომდე დახარჯვა იქნება საჭირო. ვნახოთ, ეგებ არც შეაწუხოს ისინი ტკივილმა.

**— ფინალური ტურნირისთვის თბილისში ემზადებოდით, არ ჯობდა, უცხოეთში შეკრებილიყავით?**

— უცხოურ შეკრებას წარმატების გარანტად არ ვთვლი. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, სად ითამაშებ სპარინგმატჩებს, უცხოეთში თუ, ვთქვათ, ხევსურეთში, მთავარია, მეტოქე იყოს ძლიერი.

**— თბილისში რომელ ძლიერ სპარინგპარტნიორს ეთამაშეთ?**

— ეროვნული ნაკრების კანდიდატებს დიღმის ბაზაზე სამჯერ შევხვდით. მართალია, დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ახლახან შეკრიბა ხალხი სხვადასხვა გუნდიდან, მაგრამ ჩვენი მეტოქეები გაცილებით ასაკოვანნი და გამოცდილნი იყვნენ. ვფიქრობ, მათთან თამაში საკმარისი იყო ჭაბუკთა ნაკრებისთვის, ხოლო ეროვნულ გუნდს მართლაც ძლიერი მოსპარინგე სჭირდება.

**— მეტოქეებზე და მიზნებზე რას იტყვით?**

— ჯგუფში თითქმის ყველა მეტოქეს ვიცნობთ, იტალიასთან, საფრანგეთთან და ლატვიასთან შესარჩევ ეტაპზეც გვითამაშია. ვერ ვიტყვი, რომ ერთი თავით ჩვენზე ძლიერები არიან. ყველა მეტოქესთან შეიძლება როგორც მოგება, ასევე წაგება... საერთოდ, ფინალური ეტაპის თორმეტივე მონაწილე მეტ-ნაკლებად თანაბარი გუნდია. ყურს ცოტა უცნაურად ჩვენი და ბულგარეთის ნაკრებები ხვდება, უმაღლესი დონის ტურნირებზე ხომ ევროპის წამყვანი ქვეყნების ნაკრებები თამაშობენ.

**— ამ თაობას კადეტთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც უთამაშია და მაინც ცუდად ხვდება ყურს საქართველო?**

— კადეტებში კი უთამაშიათ, მაგრამ ეს ჭაბუკთა ტურნირია, სხვა ასაკია და აქ არასდროს გამოუჩენიათ თავი ქართველებს. ისე, ხორვატიული შესარჩევი ტურნირის შემდეგ ჩვენს ნაკრებს უკვე ბევრი იცნობს როგორც სერიოზული დონის გუნდს. ფინალურ ეტაპზე რომ მოვხვდით, საკმაოდ ბევრი სანაქებო სტატია დაწერეს ჩვენზე ევროპულ პრესაში.

**— ჯგუფში ჩვენი მეტოქის, ლატვიის ნაკრების ლიდერი ანდრის ბიედრინსი დრაფტზე მე-11 ნომრად აირჩიეს. ხომ არ იცით, იქნება თუ არა იგი ესპანეთში?**

— არ ვიცი, მაგრამ უმჯობესია, იყოს. ბიედრინსის არყოფნით მხოლოდ ჩვენ არ ვიხეირებთ, ჯგუფში სხვებიც ხომ უნდა ეთამაშონ ლატვიელებს. ხორვატიაში ჩვენ უკვე მოვუგეთ ბიედრინისიან ლატვიას და ვეცდებით, ესპანეთშიც იგივე გავიმეოროთ.

**— სამაგიეროდ, ხორვატიაში ფრანგებთან დამარცხდით...**

— ფრანგებთან ჯგუფის ბოლო მატჩში დავმარცხდით, როცა ფინალურ ეტაპზე გასვლა უკვე განაღდებული გვქონდა. ძნელია, ასეთ დროს მთელი მონდომებით თამაში, ესპანეთში კი აღარაფერს დავთმობთ. თან ახლა უფრო იმედიანად ვარ, სათადარიგო სკამი უფრო გრძლად მეჩვენება.

**— არადა, ახლაც 12 მოთამაშე გეყოლებათ და ასე რატომ ამბობთ?**

— იმიტომ, რომ შესარჩევ ტურნირში თითოეულ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ძირითადად 6 კაცით ვთამაშობდით, საიმედო შემადგენლობას ვეყრდნობოდი.

**— კი მაგრამ, ფინალურ ტურნირზე უფრო მნიშვნელოვანი მატჩები არ გველის?!**

— ცხადია, ასეა, მაგრამ ჩვენ ფინალში გასვლითაც გამარჯვებულები ვართ და რომც წავაგოთ, არაფერი მოხდება. აი, შესარჩევი ტურნირი რომ ვერ გაგვევლო, მართლაც ტრაგედია იქნებოდა. ფინალში გასვლით ჩვენ ჩვენსას მივაღწიეთ.

**— ესე იგი, ესპანეთში უამბიციოდ მიდიხართ...**

— ამბიციისა და ტურნირის მოგებისა რა მოგახსენოთ და, საბრძოლველად კი ნაღდად მივდივართ. არაა გამორიცხული, ჯგუფიდანაც გავიდეთ და უფრო შორსაც გავაღწიოთ, მაგრამ არც ის გაგვიკვირდება, საწინააღმდეგო რომ მოხდეს. ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე ვითამაშებთ, წაგების შიში არ გვექნება და ეგებ ფავორიტებსაც გავკრათ კბილი. ამიტომაც ვამბობ, სათადარიგო სკამი გრძლად მეჩვენება-მეთქი. უფრო თამამად შევუშვებ ბიჭებს მოედანზე, 9-10 კაცით ვითამაშებთ.

**ირაკლი პერტაია**

## ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი. სარაგოსა. 9–17 ივლისი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საქართველო | საბერძნეთი |
| საფრანგეთი | ლიტვა |
| იტალია | ესპანეთი |
| ლატვია | ისრაელი |
| რუსეთი | თურქეთი |
| სერბეთი | ბულგარეთი |

**ჩვენების კალენდარი**

**9 ივლისი**
**საქართველო — საფრანგეთი**
**10 ივლისი**
**საქართველო — იტალია**
**11 ივლისი**
**საქართველო — ლატვია**
**13 ივლისი**
**საქართველო — რუსეთი**
**14 ივლისი**
**საქართველო — სერბეთი**

## საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

| | | |
|---|---|---|
| რევაზ ათანელიშვილი | 207 | სლოვანი (სლოვენია) |
| ნოდარ ბექაური | 194 | დინამო |
| რეზო დიდია | 200 | აკადემია |
| ლაშა გამყრელიძე | 183 | დინამო |
| დავით გიორგობიანი | 193 | სტუ-ჯეოსელი |
| ტატო ჯანეზაშვილი | 207 | სტუ-ჯეოსელი |
| გიორგი ხურცია | 201 | აკადემია |
| ბესიკ ლეჟავა | 192 | თსუ |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 196 | ბენეტონი (იტალია) |
| დავით საყვარელიძე | 200 | თსუ |
| გიორგი ცინცაძე | 194 | ცსკა (მოსკოვი) |

# ორიც ბაქოდან

## ნაჩუქარ ლიცენზიას მოპოვებული სჯობს

**ოლიმპიადის ლიცენზიანტ ოცდაათ ქართველ სპორტსმენს დღე-დღეზე ორი მძლეოსანიც მიემატება. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) ამ თვის ბოლომდე ალბათ თავისითაც გამოიმეტებდა ათენის საგზურებს. წესია, დაჩაგრულ ქვეყნებს ლიცენზიები საჩუქრად გადაეცემათ, რათა ეს სახეობა სულ არ ჩააკვდეთ ხელში, თუმც, საბედნიეროდ, ქართველებმა მიზანს თავად მიაღწიეს. ამ დღეებში ბაქოში, აზერბაიჯანის თასზე მიწვეულმა ორივე ჩვენებურმა მძლეოსანმა, ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა და სამმხტომელმა იულია დუბინამ ოლიმპიური ნორმატივი შეასრულეს**

მარიამ ქევხიშვილი

ლიცენზიების მისაღებად IAAF-ის ოფიციალური ალიარებალა რჩება. საერთაშორისო ფედერაცია საბოლო ბეჭედს მას შემდეგ დასვამს, რაც აზერბაიჯანის თასის ტექნიკურ მხარეს გადახედავს. ამაში ისეთი წვრილმანები იგულისხმება, სპორტული ინვენტარის სიზუსტე, ტურნირის მსვლელობისას ქარის მიმართულება და სიძლიერე, კვალიფიციური მსაჯობა და სხვა მისთანები რომ არის. ნაკლებად მოსალოდნელია, ჩვენი მეზობლებისგან მიწოდებულ ინფორმაციაში თუნდაც მცირე შესწორებები შეიტანონ, მაგრამ, მოდით, ჯერ განაღდებულად ლიცენზიებს ნუ ჩავთვლით. მით უმეტეს, რომ ამისგან თავად ქართველი სპეციალისტები იკავებენ თავს.

იულია დუბინა

მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და ამავდროულად ქევხიშვილის პირადმა მწვრთნელმა ყარამან საბანაშვილმა ბაქოური ტურნირის ზუსტი მონაცემებიც მოგვაწოდა და ქართველი სპორტსმენების საოლიმპიადო გეგმებზეც გვითხრა...

„აზერბაიჯანის თასზე 18 წლის მარიამ ქევხიშვილმა და 20 წლის იულია დუბინამ მშვენიერი შედეგები აჩვენეს. პირველ დღეს დუბინამ იასპარეზა. ნორმატივი 17 მეტრი იყო, მან კი 17,20 მეტრით პირადი და საქართველოს რეკორდებიც გაუმჯობესა. ქევხიშვილმა კი ნორმატივს (14 მეტრი) სამი სანტიმეტრით გადააჭარბა, თან პირადი და საქართველოს იუნიორთა რეკორდებიც დაამყარა. შეჯიბრი უმაღლეს დონეზე ჩატარდა და არა მგონია, რამე შეიცვალოს, თუმც მაინც ოფიციალურ ცნობას ველოდებით."

ვიდრე IAAF-ის ბეჭდიანი ფურცელი ჩამოვიდოდეს, ქართველები შიდა ჩემპიონატზეც შეეცდებიან ოლიმპიური ნორმატივის დაძლევას, თუმც ვინ იცის, იქნებ ცნობამ პარასკევს ეროვნულზე დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატსაც დაასწროს.

ქევხიშვილ-დუბინას შეიძლება 110 მეტრზე თარჯმორბენალი დავით ილარიანიც დაემატოს. აზერბაიჯანში მის წასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან ამ დისტანციაზე ელექტრონული მოწყობილობა ყოფილა აუცილებელი, ჩვენს მეზობლებს კი, რა გასაკვირია, ეს არ გააჩნდათ. რჩება კიდევ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირი, რომელთაგან ერთერთზე წასვლასაც ალბათ გაუხერხებენ, მაგრამ თუ ლიცენზიით დაბრუნება ვერ შეძლო, IAAF-ის იმედად ყოფნაც შეიძლება.

**ოთარ გალლაძელიძე**



### საქართველოს თასი. მე-3 ეტაპი

„ლოკომოტივი". 6 ივლისი

**ყოჩები 20:12 ლოკომოტივი**

**ყოჩები:** ვ. სოხაძე, შუბითიძე, კაჭარავა, ლობჟანიძე, ავალიანი, ... (ოკანიშვილი), სულთანიშვილი (კორსანტია), ჭავჭავაძე (კიკნაველიძე), ჭყონია, ალიბბარაშვილი

**ლ:** ჭყონია, ვ. სოხაძე

**2გ, 2ს:** თ. სოხაძე

**სინგბინი:** თ. სოხაძე

**ლოკომოტივი:** ასათიანი, გუგავა, უდესიანი (აბაშიძე), ალანია, კობერიძე, ხაჩირაშვილი, სამხარაძე, კახიანი, ტრაპაიძე, დათუნაშვილი (მხეიძე), დ. ჟღენტი, ბერძენიშვილი (სპანდერაშვილი), გ. ჟღენტი, ჯოხია, გასვიანი

**ლ:** დ. ჟღენტი, დათუნაშვილი

**გ:** ხაჩირაშვილი

**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი

# ჩახლართული გამოიხლართა

საქართველოს თასის სუპერჩახლართული გათამაშება ნელ-ნელა ფინიშს უახლოვდება. საუკეთესო ექვსეულის ჯგუფური შეხვედრები, „ლოკომოტივისა" და „ყოჩების" გუშინდელი შეხვედრით დასრულდა. ნახევარფინალისტთა ვინაობა ადრევე იყო ცნობილი, რადგან ბათუმის „დათვები" დაიშალა და თასიც უმისოდ გაგრძელდა. ქუთაისის „აიამ" კი ერთი გამარჯვებაც ვერ მოახერხა და აბა, ოთხეულში რა ესაქმებოდა.

გუშინდელ მატჩს საბოლოო ცხრილისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგებული ლიდერ „ლელოს" ეწეოდა, ხოლო წაგებულს მეოთხე ადგილზე დაშვება ემუქრებოდა. ნახევარფინალის წყვილებიც ხომ ამ ჯგუფური ეტაპის შედეგით დგებოდა, პირველი მეოთხეს უპირისპირდებოდა, მეორე — მესამეს.

თამაში თავიდანვე გვარიანი ჯაჯგურით დაიწყო და ისე მიილია, ხეირიანი კომბინაცია ვერ ვნახეთ, თუმც დაძაბულობა ნამდვილად არ დაიწუნებოდა. ლიდერების გარეშე მოთამაშე „ლოკომოტივიც" და „ყოჩებიც" ძალით ცდილობდნენ ფონს გასვლას, რაც უმეტესწილად მეტოქის ოცდაორში ბულის დაყენებით და ბურთის დაკარგვით მთავრდებოდა.

ვერ ვიტყვით, რომ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ანგარიში კი მთელი თამაში „ყოჩებს" მიჰყავდა. პირველი ლელო მეათე წუთზე ჭყონიამ გაიტანა, ვანო სოხაძემ კი გარდასახა. „ლოკომოტივმა" საპასუხო ლელო ორიოდ წუთში გაახერხა, თუმც ეს იყო და ეს, პირველ ტაიმში ქულის მოხვეჭა ველარ შეძლო. ბურთიც ძირითადად „ლოკომოტივის" ნახევარზე ტრიალებდა და 30-ე წუთზე სოხაძეებმა „ყოჩების" უპირატესობა ცხრა ქულამდეც გაზარდეს. თემურმა ლელო დადო, ვანომ კი კვლავ უნაკლოდ დაარტყა.

მეორე ტაიმი დათუნაშვილის ლელოთი დაიწყო, ხაჩირაშვილმაც გარდასახა და ანგარიში სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. რკინიზელებს თამაშის შემოტრიალების შანსი მიეცათ. რამდენჯერმე საელეოვე ხაზსაც მიუახლოვდნენ, მაგრამ ბოლო ფაზაში ვერაფრით იმარჯვეს. ვანო სოხაძემ კი ორი საჯარიმო გაიტანა და მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 20:12.

ცხრილში პირველობა „ლელოს" ერგო, მეორე ადგილი — „ყოჩებს", მესამე — „იმედი L აკადემიას", ხოლო მეოთხე — „ლოკომოტივს".

ნახევარფინალები შაბათს „ლოკომოტივის" სათადარიგო და ვარკეთილის მეურნეობის მოედნებზე გაიმართება.

ვაკეში „ლელო" — „ლოკომოტივი" ითამაშებენ, ვარკეთილში კი „ყოჩები" — „აკადემია".



„ლოკომოტივს" უამათობა დაეტყო: ზვიად მაისურაძე და ბობა კვინიხიძე



# საერთოდაც ძალიან ყოჩაღ!

## ერთზე ოთხი-ხუთი მოდიოდა

ამ ერთი თვის წინ ვიუწყებოდით ნორჩი თბილისელი წყალში მხტომელების მიერ ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე რვა ოქროს, ექვსი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მოპოვების თაობაზე. და აი, ჩვენმა წყალში მხტომელებმა ახლა გრაცშიც ივარგეს. ავსტრიის ამ ქალაქში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე თბილისელ წყალში მხტომელებს აქამდე ორჯერ უასპარეზიათ და ბლომად მედლებიც მოუპოვებიათ, მაგრამ იმის გამო, რომ არასრული ნაკრებით იბრძოდნენ, საერთო გუნდურ ჩათვლაში მეხუთე-მეცხრე ადგილებზე გასულან. ამჯერადაც ასე იყო, მაგრამ ამ დაუკომპლექტებულმა ხუთკაციანმა გუნდმა სხვათა ოც-ოცდახუთ კაციან ნაკრებებს სძლია და ვეება თასით დაბრუნდა. ამას გარდა თორმეტი ქვეყნის 300-მდე სპორტსმენთან პირად პირველობაში მათ ექვს-ექვსი ოქროსა და ვერცხლის, აგრეთვე ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

თექვსმეტწლამდელ სპორტსმენთა შორის ჭოლა ჭანტურიამ 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან, აგრეთვე 7-მეტრიანი კოშკიდან იასპარეზა და სამივეგან გაიმარჯვა.

ამავე ასაკში და ამავე სახეობაში მეორე იყო მისი თანაგუნდელი გიორგი გევორქიანი.

14-წლამდე ასაკის გოგონათა შორის ასევე სამი პირველი ადგილი დაიკავა სალომე ჯუღელმა. ერთმეტრიან ტრამპლინზე მეორე იყო სოფიკო ხუციშვილი, ხოლო სამმეტრიანზე — მესამე.

ამავე ასაკის ბიჭებში 1-მეტრიანი ტრამპლინიდან და 5-მეტრიანი კოშკიდან ვერცხლის მედლები მოიპოვა შოთა კორახაშვილმა. მანვე ბრინჯაოს დაიმსახურა 3-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში.

ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი სულ მალე აახენში 16-წლამდე სპორტსმენთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ და მათი რეალური ძალაც იქ გამოჩნდება.

**ავთანდილ ბყვიშელი**

# ქართველები ათენში

# საურიკოდ მედლები ისევ ცვივა

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ნინო სალუქვძე დაიბადა თბილისში, 1969 წლის 1 თებერვალს. არის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტული პისტოლეტით სროლაში და ვერცხლის პრიზიორი პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობაში. 1986-97 წლებში 6-ჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში. 5-ჯერ მოიპოვა მსოფლიოს სუპერთასი, 14-ჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი და 25-ზე მეტი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 1990 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, მერე იმავე ინსტიტუტის ასპირანტურა. ნინო სალუქვაძე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმის შედეგად (ორჯერ (1988, 1999 წ.წ.) დასახელებული იყო წლის საუკეთესო სპორტსმენად, ხოლო ამავე ორგანიზაციის გამოკითხვით აღიარებულია XX საუკუნის საქართველოს №2 სპორტსმენ ქალად

წინათ, საბჭოთა სადღესასწაულო ზეიმებისას დიდ მოდაში იყო საალუმოდ სპორტსმენთა კოლონებად გამოსვლა, სადაც ათლეტები წითელ ლენტზე ჟინჟილაკებივით ასხმულ მედლებს მოაჟღარუნებდნენ. როცა ნინო სალუქვაძეს ერთხელაც შინ ვეწვიე და მისი მონაგარი დავათვალიერე, ვიფიქრე, ისეთი აღლუმი ახლაც რომ მოეწყოს, ამ გოგოს ის წითელი ლენტი რას ეყოფა. ნინოს, მშენებლები რომ იყენებენ, ორი ისეთი ურიკა დასჭირდება-მეთქი. განსაკუთრებით მსოფლიოს თასის გათამაშებებში მოპოვებული, ვეება ბროლის თასების ზიდვა გაუძნელდებოდა.

ეგ კი არა, ნინოს იმ თასების სასტუმრომდე მიტანაც კი უჭირდა, რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისში ჩამოტანაზე.

აი, სულ სხვაა ოლიმპიური ოქროს მედალი! დალოცვილი, სულ რაღაც 9 გრამია, მაგრამ რამხელა წონა აქვს — ყველა მსოფლიოს თასს ერთად გადაწონის და ბევრ სხვა ჯილდოსაც.

ნინო სალუქვაძეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლების გარდა სხვა დიდი საერთაშორისო ტურნირების იმდენი ჯილდო მოუპოვებია, რომ მათი სათვალავი დიდი ხნის წინათ არევია. მისი მედლების რაოდენობა ჯერ კიდევ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე გადასცდა ერთ ასეულს.

სალუქვაძეს თავისივე გაუმჯობესებული მსოფლიოს რეკორდების სათვალავიც არევია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მსოფლიოს რეკორდებს ლამის ბავშვობიდან ამყარებდა. ნინოს ვარაუდით, 25-ზე მეტი მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია, აქედან 15-ზე მეტი — დიდებში.

ნინო სალუქვაძე, როგორც იტყვიან, მიღწეულით არ კმაყოფილდება და კვლავაც შეუპოვრად ცდილობს ტიტულებისა თუ ჯილდოების მოპოვებას.

ახლა იგი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ეს მისთვის მეხუთე ოლიმპიური თამაშები იქნება და იგი ამ მხრივ საქართველოს ოლიმპიელთა რეკორდსმენად გვევლინება.

ნინო სალუქვაძეს საქართველოს სპორტსმენთაგან კიდევ ერთი თავისებური რეკორდი ეკუთვნის: 1988 წელს, სეულის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშ გამოდიოდა, 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე იგი დსთ-ს სახელს იცავდა, 1996 წელს ატლანტასა და 2000 წელს სიდნეიში უკვე თავისი ნამდვილი სამშობლოს შინდისფერი დროშით გაერთიანებულ თანაგუნდელებთან ერთად იყო, ახლა კი, საათენოდ, ზუთჯვრიანი დროშის დროც მოვიდა.

— სეულის ოლიმპიური თამაშები ჩემთვის ყველაზე ტკბილადმოსაგონარია — გვიამბობს ნინო სალუქვაძე — „ოქრო-ვერცხლის“ მოპოვების გარდა ის ოლიმპიადა დამამახსოვრდა, როგორც უდიდესი დღესასწაული, რაღაც გრანდიოზული კარნავალი.

მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, საოლიმპიადოდ ყველა შეჯიბრება მოვიგე, დარწმუნებული მაინც არ ვიყავი, რომ სეულში თუნდაც „ბრინჯაოს“ მოვიპოვებდი — გვიამბობს ნინო სალუქვაძე — ოლიმპიურ თამაშებზე სულ სხვაგვარი დაძაბულობაა. ხშირად აშკარა ფავორიტებიც კი სამეულს მიღმა რჩებიან, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე სხვა ნიუანსებიც არის.

ისე, ნინო სალუქვაძე შესაძლოა, სეულის ოლიმპიადაზე ვერც გამოსულიყო, რადგან „სხვა ნიუანსები“ მანამდეც დიდ როლს თამაშობდა. ყოველ შემთხვევაში, ნინო ასეთ ისტორიასაც გვიამბობს:

„წინათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამარჯვება უფრო ძნელი იყო, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატზე, რადგან ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩემს სახეობაში და ბევრ სხვაშიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა.

მახსენდება 1988 წელი. მაშინ საკავშირო ჩემპიონატის ყველა დისციპლინაში გავიმარჯვე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე დიდ ნაკრებში მაინც არ შემიყვანეს და იმავე შეჯიბრებაზე ახალგაზრდულ პირველობაზე გამომიყვანეს.

სხვათა შორის, მაშინ ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი მამაჩემი იყო და მე ყველა დისციპლინაში გავიმარჯვე. ნაკრების წევრებმაც ყველაფერი მოიგეს, მაგრამ ჩემი შედეგები იმათსას 11 ქულით სჯობდა. მერე ოლიმპიურ თამაშებამდე რაკი ყველა შეჯიბრებაში უფროსებს ვაჯობე, რაღას იზამდნენ, დიდ ნაკრებში შეიყვანეს და თანაც ორივე დისციპლინაში გამომიყვანეს“.

ახლა ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად ნინო სალუქვაძეს უკვე მესამე თამაშებია, მსგავსი პრობლემა აღარ აწუხებს. იგი საქართველოში უკონკურენციოა სპორტული და პნევმატური პისტოლეტით სროლაში. საოლიმპიადო გუნდში მოსახვედრად მთავარია ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება, რაც მას სულაც არ უჭირს, მაგრამ მისთვის და სხვა სპორტსმენებისთვისაც პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მერე ვარჯიშის პირობები გამხდარა. ნინოს ხან პისტოლეტი არ უვარგოდა, ხან იმისი სასხლეტი თუ ვაზნები. ხან უდენობა იყო და ხან ნესტიან, ჩაბნელებულ ტირში მოთახთახე გენერატორი და სიცივე. ხშირად არც შეჯიბრებებზე გასამგზავრებელი ფული იყო და კიდევ ბევრი პრობლემაც.

აი, ამ ოლიმპიურ ციკლში კი მსგავსი პრობლემები ჩვენს სპორტსმენებს აღარ აწუხებთ. ყველა ერთხმად აღნიშნავს, ასეთი კარგი პირობები აქამდე არ გვქონიაო. თავად ნინოსგანაც ვესმოდა ამის თაობაზე აზრის გაგება, მაგრამ თვეზე მეტია, ალბათ საუბარი ვერ მოვახერხეთ, რაკი უცხოეთშია და საოლიმპიადო სამზადისში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის.

გადადის და, ესე იგი, მოსამზადებელი პირობებიც ჰქონია. ისიც შევიტყვეთ, რომ მას აღარც იარაღის პრობლემა აქვს და აღარც ტყვია-წამლისა.

სპეციალისტები ამბობენ, ათენში ნინოს შანსები ისევ ნინოს ხელშია. მას ოლიმპიური გამოცდილება თავზე საყრელად აქვს. ახლა მთავარი ნერვები და ფსიქოლოგიური მომზადებაა.

ყველაფერი კი პატარა ნინომ სიცელქის გამო დაიწყო. მაშინ მამამისმა, ვახტანგ სალუქვაძემ შვილი პირველად რომ მიიყვანა ტირში, გოგონა თურმე ვერაფრით ეგუებოდა სიდინჯეს, იქ გამეფებულ სიწყნარესა და სამარისებურ სიჩუმეს, რასაც დროდადრო მხოლოდ იარაღის გასროლის ხმა არღვევდა. პატარა ნინოს ისევ თავისი საყვარელი კალათბურთისკენ მიუწევდა გული.

— იქ, კალათბურთელთა სარბიელზე იყო ყიჟინა, სტვენა, ჭყივილ-კივილი, რაც ოთხ წელიწადს მესმოდა. იქ იყო დიდი აზარტი, რაც ძალზე მიზიდავდა. ჩემი პირველი სპორტული ჯილდო — სიგელი, სწორედ კალათბურთის მოედანზე მოვიპოვე, როცა თანაგუნდელებთან ერთად თბილისის მოსწავლეთა პირველობაზე გავიმარჯვე. ამასთან, მაშინ, ბავშვობაში, დავდიოდი სიმღერაზეც, მუსიკაზეც, ცეკვაზეც. თან სულ ქუჩა-ქუჩა დავრბოდი. ერთი სიტყვით, დიდი ცელქი ვინმე ვიყავი. მერე დედაჩემი შეუჩნდა მამაჩემს, წაიყვანე ეს ბავშვი ტირში, სულ ქუჩაში ხომ არ უნდა იყოს, იქნებ სროლამ ცოტა მოაჭკვიანოსო. ჩემთვის საშინელება იყო ხმაურიანი, აზარტული კალათბურთის მოედნიდან ტირში გადაბარგება და იქაურ სიწყნარესთან შეგუება...

როცა ბავშვობას იხსენებდა, მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინაშე ტირში ნანახი დინჯი, აუჩქარებელი ორი შვილის დედა კი არა, სწორედ ის მკვირცხლი და ონავარი გოგო იდგა, რომელიც მოგონებებმა გამოაცოცხლა.

ამ მოგონებებს ბოლო მნიშვნელოვანი ამბავი შარშან შეემატა, როცა ნინომ ევროპის ჩემპიონატში ბრინჯაო მოიპოვა, წლევანდელი მთავარი მოგონება კი, იმედია, წინაა...

**ავთანდილ გურასაშვილი**

**მამა-შვილი სალუქვაძეები**

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

**აქეთ ნინოს საათენო სამიზნეა**

ბიგა გურასაშვილის ფოტო

**XX საუკუნის რჩეული ქალები: ნინო სალუქვაძე და ნონა გაფრინდაშვილი დაჯილდოების ცერემონიალზე**

# ტურ დე ფრანსი 2004

**III ეტაპი. 6 ივლისი**
**ვატერლოო — ვასკუალი**

1 ჟან-პატრიკ ნაზონი (საფრანგეთი, AG2R) 4სთ 36წთ 45წმ
2 ერიკ ზაბელი (გერმანია, თიმობაილი) იგივე დრო
3 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) 13სთ 42წთ 34წმ
2 ფაბიან კანსელარა (შვეიცარია, ფასა ბორტოლო) +1წმ
3 იენს ვოიტი (გერმანია, CSC) +9წმ

# არმსტრონგის დირექტორი უკვე ბევრს ლაპარაკობს

გუშინ ფრანგებს ზეიმის გვარიანი მიზეზი მიეცათ. ერთი რომ, ტურმა მშობლიურ საფრანგეთში შეაბიჯა და მთავარი — ეტაპი ჟან-პატრიკ ნაზონმა მოიგო, ფრანგთა უპირველესმა იმედმა ტურ დე ფრანსზე.

ტურის მე-3 ეტაპი ნაპოლეონისთვის საბედისწერო ვატერლოოში დაიწყო და ფრანგულ ვასკუალში ვისთვის მშვიდობით, ვისთვისაც უიღბლოდ დასრულდა. ეს 210-კილომეტრიანი ტრასა, როგორც ვთქვით, უჩაუქესად განვლო მასპინძელმა ჟან ნაზონმა, ყველაზე დიდი იმედგაცრუება კი ლიდერთაგან ესპანელმა იბან მაიომ განიცადა.

არა, ყველაზე შეწუხებულები, ცხადია, ისინი იქნებოდნენ, საერთოდ რომ გამოეთიშნენ რბოლას, მაგრამ მათთვის მონაწილეობაც რამედ ფასობს, მაიო კი ფავორიტი მრბოლია და ჩემპიონობასაც უმიზნებს.

ჰოდა, ასეთი ამბიციური მრბოლისთვის მთელი 4 წუთის დაკარგვა ეგებ საჩემპიონო მარათონიდან გამოთიშვასაც ნიშნავდეს. მაიოს ავარია შეემთხვა და მისი გუნდის ტექპერსონალმა ველოს შეკეთებას ოთხიოდ წუთი მოანდომა. 4 წუთი გვარიანი ჩამორჩენაა ამ დონის რბოლაში. აკი ამბობს გუნდში ლეგენდარული ლენს არმსტრონგის მყოლი „ჰოსტალის“ დირექტორი იოან ბრუნელი, მაიოსთვის იქნებ ყველაფერი დღეს დამთავრდაო. „ჰოსტალის“ შეფთაგანი იმასაც ამატებს, მაიო ისეთი გამოცდილი და შეუპოვარი ვინმეა, ვინ იცის, ელისეის მინდვრებამდე მაინც შეძლოს ამ 4-წუთიანი დეფიციტის გაბათილება, რბოლა ხომ ახალი გახურებულიაო.

საერთოდ, გუშინ ბრუნელს ეტყობოდა, რომ ლაპარაკის ხასიათზე იყო. რატომაც არა — მისი გუნდისა და სრულიად საველორბოლო სამყაროს ლიდერმა, წლეულს მე-6 ტურდეფრანსული ტიტულის მაძიებელმა ლენს არმსტრონგმა ეს ეტაპი ლიდერთან ხელსაყრელი ჩამორჩენით გაასრულა და საერთო ჩათვლაში მე-5 ადგილზე დამკვიდრდა. მეხუთე ადგილი რა პრობლემაა, ყვითელმაისურიან რობი მაკივენს ოდენ 16 წამით ჩამორჩება, რისი გაბათილებაც მისი ოსტატობის მრბოლისთვის სახათაბალო სულაც არ გახლავთ.

ბოლოსთვის ვთქვათ, რომ საერთო ჩათვლაში მოულოდნელად გალიდერებული ნორვეგიელი ტორ ჰუსვოდის ბაირამობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ჰუსვოდი გვარიანად ჩამორჩა გუშინდელ პელოტონს და ფინიშთან დაგვიანებული მისვლით ყვითელი მაისურა ხომ დაკარგა, მოლიდერე ათეულიდანაც კი ამოვარდა.

**ირაკლი პერტაია**



## მსოფლიოს ჩემპიონატი

**ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი**

**ნახევარფინალი. ტაი-ბრეიკი**

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 2:0, 1:0

# უზბეკმა ტოპალოვს ფლავი არ აჭამა

ჩემპიონატის რეიტინგსიის პირველმა ნომერმა ვესელინ ტოპალოვმა პირველად, თანაც ზედიზედ ორჯერ წააგო და ასპარეზობას გამოეთხოვა. ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ნახევარფინალამდე დაუმარცხებელი სახელოვანი ბულგარელი ასე შერცხვებოდა და თანაც ვისთან — არც ისე ტიტულიან 28-ე ნომერ კასიმჯანოვთან. ამ მატჩამდე სპეციალისტები სავარაუდო ფინალისტებად აწ უკვე გავარდნილ ტოპალოვს და ჩემპიონატის მეორე ნომერ ინგლისელ მაიკლ ადამსს მიიჩნევდნენ. თუმც, როგორც ჩანს, ვესელინი წინა მატჩებში ისე გადაიღალა, რომ ნახევარფინალში ოთხი ყაიმი ძლივს გაახერხა, ხოლო სწრაფებში სულ აურია და ორივე პირწმინდად წაგო. კასიმჯანოვმა კი ამ მატჩამდე ბევრს გაუჩინა თავსატეხი, ორი კვირის წინ მან მეთექვსმეტედფინალიდან ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, უკრაინელი ვასილი ივანჩუკი 2,5:1,5-ით გააგდო.

სწრაფ პარტიებში პირველად თეთრ დაფას ტოპალოვი მიუჯდა, თუმც მთელი პარტიის განმავლობაში ხეირიანი ვერაფერი შექმნა და 54-ე სვლაზე დამარცხება აღიარა. მდგომარეობა ვერც მეორე შეხვედრაში გამოასწორა, პირიქით, უარესად ითამაშა და უფრო ადრე, 42-ე სვლაზე დამარცხდა.

ფინალში გასული ადამსი და კასიმჯანოვი ექვს მატჩს ჩაატარებენ და ყაიმის შემთხვევაში ტაი-ბრეიკებში გაგრძელებენ ოქროსთვის ბრძოლას. ბუქმეიკერების აზრით, ფავორიტი ადამსია 1,5 კოეფიციენტით, კასიმჯანოვს კი 2,6 უწერია.

**ლაშა გეგეჭკორი**



მოულოდნელი ფინალი: მაიკლ ადამსი და რუსტამ კასიმჯანოვი



# უილიამსს ხუანიც დაუშავდა



ხუან-პაბლო მონტოია ექიმების ვერდიქტის მოლოდინში

**თითქოს** ინდიანაპოლისში (აშშ) რალფ შუმახერის ავარია და საჭესთან კარგა ხნით განშორება არ კმაროდა, სერ ფრენკ უილიამსის გუნდს მეორე ფათერაკი შეემთხვა.

კვირას საფრანგეთში, მანი კურის ავტოდრომზე რბოლის დროს ხუან-პაბლო მონტოიას ორი დღით ადრე ვარჯიშზე მიღებული ტრავმა ისე გაუმიზეზდა, რომ იქნებ მომდევნო ეტაპი გამოტოვოს კიდეც. პარასკევს კოლუმბიელის ბოლიდი ტრასიდან ტყვიასავით გავარდა და დამცავ ბარიერს შეასკდა. ხუანმა კისერი და მხრები დაიშავა, თუმც არც იმდენად, რომ რბოლაში მონაწილეობა ვერ შესძლებოდა, მაგრამ...

„რბოლაში კისრის ტკივილმა იმდენად შემაწუხა, რომ ბოლოს თავის პირდაპირ დაჭერაც კი მიჭირდა“ — დაიჩივლა ხუანმა ფინიშის შემდეგ.

კისრის დამაფიქსირებელი სახვევით იგი ლონდონში გაფრინდა სპეციალურ კლინიკაში გასასინჯად, დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზზე საკვირაო რბოლაში მონაწილეობის საკითხიც დღეს-ხვალ გადაწყდება ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ.

რაც შეეხება რალფს, იგი თავის სახლში, ავსტრიულ ზალცბურგში ისვენებს და ძალებს იკრებს. თავიდან ითქვა, სრულ გამოჯანმრთელებამდე გერმანელ პილოტს სამი თვე დასჭირდებაო, თუმც მისი მენეჯერი ვილი ვებერი იმედიანად აცხადებს, რალფი სწრაფად მოდის ჯანზე და შესაძლოა, უკვე შუა აგვისტოში ვიხილოთ ტრასაზეო.

შუმახერს ერთი ეტაპი უკვე გაუცდა — საფრანგეთში მის ნაცვლად „უილიამსის“ სათადარიგო მძღოლმა, ესპანელმა მარკ ჟენემ ირბოლა და არცთუ ურიგო, მეათე ადგილზე გავიდა. და მაინც, 30 წლის პილოტის კვირას „სილვერსტოუნზე“ გაქროლება სათუოა და მხოლოდ რბოლამდე ორი დღით ადრე გაირკვევა.



# შენმა ძროხამ ხბო მოიგო

შვეიცარიის 2003 წლის ღია პირველობაზე — და ეს გშტაადური ტურნირი ზუსტად ნაუიმბლდონევს იმართება ხოლმე — როჯერ ფედერერს მისი პირველი სლემტიტულის აღსანიშნავად ფუმფულა ძროხა, ჯულიეტი უფეშქაშეს.

რაკიღა 22 წლის ბაზელელმა ლონდონურ სეფეკოინდარზე ახლაც იმძლავრა, მილეთს კითხვა გაუჩნდა, როჯერს გშტაადში კიდევ ერთ ძროხას ხომ არ აჩუქებენო.

დაინტერესებულ პირთა ცნობისმოყვარეობა იმ დღეს ტურნირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დააკმაყოფილა:

„წლეულს ჩვენ მას ძროხას აღარ ვაჩუქებთ. ჯულიეტმა ამას წინათ ხბო მოიგო და არა გვგონია, როჯერს კიდევ ერთი ძროხა სჭირდებოდეს!“

# კოვბოი ტურზე

REUTERS შარლერუადან

ტურ დე ფრანსის სამი დღე მიილია. შარლერუასა და ნამურს შუა გაწელილ 197-კილომეტრიან გზაზე კი ველოსიპედრებს მავანი კოვბოი ასდევნებია ამერიკის დროშით. ტურის თავგადასავლული ქომაგი ყოფილა.

# ცეცხლი კიევში

ოლიმპიური ცეცხლი კვლავაც მოგზაურობს მსოფლიოს ქალაქებში და კიევსაც მისულა, სადაც, ვინ თუ არა სერგეი ბუბკა იყო მისი მეჩირაღდნე. უკრაინის სპორტის მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩიც იქა ბრძანდებოდა. 27 ქვეყნის 34 ქალაქის მოვლის შემდეგ ცეცხლი კვლავაც ბერძნულ მიწას მიადგება და ათენში აბრიალდება.

REUTERS კიევიდან

# უსწრაფესი

ასი წლისაა სამხრეთაფრიკელი ვილფრედ რაბინოვიჩი და საგინესო საქმეზე კი წასულა: 191 შეტრი საქკუნოვანია შორის უსწრაფესად გაურბენია კეიბტაუნის მარდენია ბარეში. ბედი არ გინდა? დენი წასულა და ნაათუთი გამოთრთულა.



REUTERS იოჰანესბურგიდან

REUTERS დენიადან

# წყალში მიჰყვნენ

ესპანური ამბავია: მფარველი წმინდანის დღეს ესპანელები ხარებს გააბრაზებენ ხოლმე. ქალაქ დენიაშიც ასე იყო, ოღონდაც ქალაქი ზღვის პირასაა და გამბრაზებლებს ხარები წყალში მიჰყვნენ. ხარები გადაარჩინეს — პატარა ნავებით, თოკებჩაბმულები მიაცურეს ნაპირთან.

**სარბიელი**

**სპორტული გაზეთი**

**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**

**გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**რედაქტორის მოადგილე** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუგელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
**საფოსტო მისამართი:**
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
**ელექტრონული ფოსტა**
sarbieli@gol.ge
**ელექტრონული ვერსია**
http://www.sarbieli.com.ge